საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

# არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2023

## სარჩევი


შესავალი ... 3

მეთოდოლოგია ... 4

არასათანადო მოპყრობის დასჯადობის აუცილებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები ... 7

ზოგადი და სპეციალური მუხლების გამიჯვნის მნიშვნელობა ... 10

არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაცია ქართულ კანონმდებლობაში ... 15

- არასათანადო მოპყრობის ამკრძალავი სპეციალური ნორმები ... 16
- სამოხელეო დანაშაულის ზოგადი (სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლები) ნორმები ... 20
- სხვა მომიჯნავე ნორმები (სსკ-ის 335-ე და 378-ე მუხლები) ... 23
- საკანონმდებლო ნაკლოვანების აღმოფხვრის საჭიროება ... 24

არსებული პრაქტიკის ანალიზი ... 26

- სამოხელეო დანაშაულის ზოგადი (სსკ-ის 332-333) ნორმების გამოყენება ... 27
- სპეციალური (სსკ-ის $144^1$-$144^3$) ნორმების გამოყენება ... 32
  - წამება ... 33
  - არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ... 36
- კვალიფიკაციის შეცვლის მოტივაცია ... 42
  - ზოგადი და სპეციალური მუხლების ერთობლიობა ... 46

ხანდაზმულობა, სასჯელის პროპორციულობა და საპროცესო შეთანხმების/შეწყალების/ამნისტიის გამოყენება (საერთაშორისო ვალდებულება) ... 48

- სასჯელის პროპორციულობა, საპროცესო შეთანხმების/შეწყალების გამოყენება (პრაქტიკის ანალიზი) ... 52
- საპროცესო შეთანხმება ... 52
- ამნისტიის გამოყენება ... 55
- ამნისტიის გამოყენების გარეშე ... 56
- შეწყალება ... 58

დასკვნა ... 59

## შესავალი

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვის (შემდეგში - „არასათანადო მოპყრობა“) აბსოლუტური უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, არასათანადო მოპყრობის საკანონმდებლო კრიმინალიზაციასა და შემდგომში ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას გულისხმობს.[1] ამასთან, აუცილებელია გამოძიების სწორი კვალიფიკაციით წარმართვა, რათა არასათანადო მოპყრობის ყველა შემთხვევა სათანადოდ შეფასდეს. სწორ კვალიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების, მტკიცებულებების მოპოვებისა და, საბოლოოდ, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისთვის.

გასულ წლებში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მომზადებულ სპეციალურ ანგარიშებში მითითებულია სავარაუდო წამების ფაქტების გამოძიების ხარვეზების შესახებ, მათ შორის, გამოძიების პროცესში ქმედების კვალიფიკაციის პრობლემაზე.[2] საგულისხმოა, რომ უმრავლეს შემთხვევაში გამოძიება იწყებოდა არა სპეციალური მუხლებით,[3] არამედ სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლებით.[4] წინამდებარე სპეციალური ანგარიშის მთავარი მიზანი, სწორედ, აღნიშნული ნორმების საკანონმდებლო რეგულაციის, მათი პრაქტიკული გამოყენებისა და გამიჯვნის პრობლემატიკის შესწავლაა[5].

ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში თავდაპირველად ყურადღება გამახვილდება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებზე. მიმოხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი მნიშვნელოვანი ასპექტები. საქართველოს საერთო სასამართლოების განაჩენების ანალიზით წარმოჩინდება საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკის შესაბამისობა არასათანადო მოპყრობის საკითხზე საერთაშორისო ვალდებულებასთან მიმართებით. ამასთან, სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების მიზეზების დადგენა, მათ შორის, არასათანადო მოპყრობის მაკრიმინალიზებელი

---

[1] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Assenov and others v. Bulgaria“ (განაცხადი N 90/1997/874/1086) §102, 2000 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილება „Labita v. Italy“ (განაცხადი N26772/95), §131, 2012 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Virabian v. Armenia“ (განაცხადი N40094/05) §161; 2021 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება „X and others v. Bulgaria“ GC (განაცხადი N22457/16) §178 .

[2] 2014 წ. ( < https://bit.ly/3slEbak > ) და 2019 წ. ( < https://bit.ly/3wipq05 > ) სპეციალური ანგარიშები.

[3] წამება, წამების მუქარა, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, საქართველო სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 144[1], 144[2] და 144[3].

[4] სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ბოროტად გამოყენება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, საქართველო სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 332, ნაწ. 3, ქვეპ. „ბ“ და „გ“, მუხ. 333, ნაწ. 3, ქვეპ. „ბ“ და „გ“.

[5] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.

ნორმების საკანონმდებლო დეფინიციის  თვალსაზრისით. შესაბამისად, კვლევა მოიცავს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებებს.

დამატებით, სპეციალური ანგარიში შეისწავლის არასათანადო მოპყრობისთვის განსაზღვრული სასჯელის პროპორციულობისა  და აღსრულების საკითხს საპროცესო შეთანხმების, ამნისტიისა და შეწყალების გამოყენების თვალსაზრისით.

საბოლოო ჯამში, წინამდებარე სპეციალური ანგარიშით შესაძლებელი გახდა საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა, პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებების ანალიზი და მათი აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან, წინამდებარე ანგარიშის გამოყენებით შესაძლებელი გახდება საერთო სასამართლოების სწორი სამართლებრივი შეფასებისა და განმარტებების განზოგადება და საგამოძიებო ორგანოებისთვის სახელმძღვანელო რეკომენდაციების მომზადება.

ამასთან საგულისხმოა, რომ 2019 წლის 1 ნოემბრიდან სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიებას აწარმოებდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ხოლო 2022 წლის 1 მარტიდან - სპეციალური საგამოძიებო სამსახური. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებული საქმეების შესწავლის შედეგად დადებითი ტენდენცია გამოვლინდა,[6] კერძოდ, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, წინარე პერიოდისგან განსხვავებით, გამოძიება შაბლონურად არ იწყებოდა სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლებით. სწორედ ამ გარემოების გამო, ინტერესის საგანს წარმოადგენდა გასული წლების საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. იმედს გამოვთქვამთ, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიება ხარვეზების გარეშე, სწორი კვალიფიკაციით წარიმართება და მოპოვებული მტკიცებულებებით შესაძლებელი გახდება მართლმსაჯულების განხორციელება. წინამდებარე ანგარიში კი დაეხმარება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს სრულფასოვნად დაინახოს გასული წლების პრაქტიკა, ქვეყანაში არსებული გამოწვევები და მის მიერ წარმოებულ გამოძიებებში აღარ დაუშვას მსგავსი ხარვეზები.

## მეთოდოლოგია

კვლევა ემყარება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]-144[3], 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეუნქტებით წარდგენილ ბრალდებებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 2013-2019 წწ. გამოტანილი განაჩენების შესწავლის

[6] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 22-28 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >

შედეგებს. კვლევისთვის შესწავლილია რამდენიმე რაიონული/საქალაქო[7] და სააპელაციო[8] სასამართლოებიდან, ასევე, საერთო სასამართლოების არქივიდან[9] მიღებული განაჩენები. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ[10] აპარატს განაჩენების მიწოდებაზე უარი განუცხადა და მათი ადგილზე გაცნობა შესთავაზა, აპარატმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების ნაწილი[11] მიიღო საერთო სასამართლოების არქივიდან და თბილისის სააპელაციო სასამართლოდან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით,[12] განაჩენები სასამართლოში არ ინახება და მათი გაცნობა შესაძლებელია საძიებო პროგრამის მეშვეობით. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში უზენაესი სასამართლოს განაჩენები/განჩინებები შესწავლილი იქნა[13] არქივიდან და ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებიდან მიღების, ასევე, ელექტრონული საძიებო პროგრამის საშუალებით მოძიების შედეგად.

აქვე მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის იმ უწყებებს, რომელბმაც ხელი შეუწყვეს სახალხო დამცველის აპარატს წინამდებარე ანგარიშის მომზადებაში, რელევანტური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დროული მოწოდების გზით.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა 68 სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 131 განაჩენი/განჩინება, აქედან:

- სამივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენი - 27 საქმეზე;
- პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი – 2 საქმეზე;
- სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი/განჩინება - 4 საქმეზე;
- პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი/განჩინება - 1 საქმეზე;

---

[7] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 04 ივნისის N5878-1, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 29 მაისის N504/გ და 03 ივნისის N512/გ, თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 მაისის N142, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 01 ივნისის N247, გორის რაიონილი სასამართლოს 2020 წლის 03 ივნისის N1035 წერილების დანართები. საგულისხმოა, რომ რამდენიმე საქმეზე ზემდგომი სასამართლო ინსტანციის განაჩენი მიღებულია შემდეგ პერიოდში, თუმცა საქმის საბოლოო შედეგის გათვალისწინებით მოხდა მათი ანგარიშში ასახვა.

[8] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 03 ივნისის N1/3132 და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 03 ივნისის N411-2/10 წერილების დანართები.

[9] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საერთო სასამართლოების არქივის 2020 წლის 2020 წლის 29 ივლისის N07-5163 წერილის დანართი.

[10] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 01 ივნისის N10365 წერილი.

[11] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 01 ივნისის N10365 წერილით, მოცემულ პერიოდში ზემოაღნიშნული მუხლებით განაჩენი დადგენილი იქნა 62 სისხლის სამართლის საქმეზე. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 20 საქმეზე გამოტანილი განაჩენი აპარატმა არქივიდან და სააპელაციო სასამართლოდან, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ სხვა 13 საქმეზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების შედეგად სააპელაციო სასამართლოს მიღებული განაჩენები მიღებულია სააპელაციო სასამართლოდან. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული 62 საქმიდან 33 საქმის განაჩენის გაცნობის შესაძლებლობა გვქონდა.

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 05 მაისის N6ს-21-20 წერილი.

[13] გარდა კვლევის ფარგლებში შესწავლილი რაიონული/საქალაქო სასამართლოების განაჩენებისა, შესაძლებელია, პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოებს განხილული ჰქონდეთ მსგავსი საქმეები.

- მხოლოდ რაიონული/საქალაქო სასამართლოს განაჩენი - 21 საქმეზე;
- მხოლოდ სააპელაციო ინსტანციის განაჩენი - 13 საქმეზე.

შესწავლილი განაჩენები სასამართლოების მიხედვით:

- თბილისის საქალაქო სასამართლო - 20 განაჩენი;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლო - 5 განაჩენი;
- ბათუმის საქალაქო სასამართლო - 1 საქმე;
- რუსთავის საქალაქო სასამართლო - 8 განაჩენი;
- ზუგდიდის რაიონული სასამართლო - 6 განაჩენი;
- გორის რაიონული სასამართლო - 6 განაჩენი;
- ბოლნისის რაიონული სასამართლო - 2 განაჩენი;
- ახალციხის რაიონული სასამართლო - 1 განაჩენი;
- ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო - 1 განაჩენი;
- თელავის რაიონული სასამართლო - 1 განაჩენი;
- თბილისის სააპელაციო სასამართლო - 37 განაჩენი;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო - 11 განაჩენი;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო - 32 განაჩენი/განჩინება.

შესწავლილი 68 საქმიდან 50 საქმეზე ბრალდებული სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით და $144^1$-$144^3$ მუხლებით განსაზღვრული სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო 18 საქმეზე - კერძო პირი სსკ-ის $144^1$-$144^3$ მუხლებით. არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით ქმედების კვალიფიკაციასა და სუბიექტთან მიმართებით საყურადღებოა სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დრო. კერძო პირთა მიმართ განხილული 18 სისხლის სამართლის საქმიდან ყველა შესაძლო დანაშაული ჩადენილი იყო 2013-2019 წწ-ში. სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ განხილული 50 საქმიდან, ყოფილ მოხელეებს 2013-2018 წწ. ჩადენილი სავარაუდო ქმედებებისთვის მხოლოდ 3 საქმეზე ჰქონდათ ბრალი წარდგენილი, ხოლო დანარჩენ 37 საქმეში ყოფილი მოხელეები ბრალდებულები იყვნენ 2004-2012 წწ. ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებისთვის.

სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულების ჭრილში გაანალიზებულია არასათანადო მოპყრობისთვის დამნაშავე პირის მიმართ პროპორციული სასჯელის დაკისრების საკითხი ზემოხსენებულ განაჩენებში საპროცესო შეთანხმების პირობების, ამნისტიის გამოყენების შესწავლის გზით, ხოლო შეწყალების საკითხი განხილულია 2013-2019 წწ. განხორციელებული შეწყალების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიწოდებული ინფორმაციისა და განკარგულებების[14] გაცნობის საშუალებით.

[14] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2020 წლის 21 მაისის N2593, 2019 წლის 09 ოქტომბრის N7979 და 2020 წლის 14 იანვრის N208 წერილები და დანართები.

## არასათანადო მოპყრობის დასჯადობის აუცილებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები

როგორც აღინიშნა, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა ადამიანის აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს.[15] მისი დარღვევა ვერ გამართლდება ტერორიზმის ან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით.[16] აკრძალვა მოქმედებს დაინტერესებული პირის ქცევის მიუხედავად[17] და მისგან გადახვევა დაუშვებელია საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს.[18] ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ბრძანება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამების გასამართლებლად.[19]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლით სახელმწიფოსთვის დაკისრებული ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ და არ განახორციელონ მოცემული მუხლით აკრძალული ქმედებები.[20] სახელმწიფო პასუხისმგებელია მისი ყველა წარმომადგენლის (სამართალდამცავები, სამხედრო მოსამსახურეები, ციხის თანამშრომლები) მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაზე, სახელმწიფოს მხრიდან მოცემული ფაქტის არცოდნის მოტივზე აპელირების მიუხედავად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში - ევროპული სასამართლო) წარმოუდგენლად მიიჩნია, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არ სცოდნოდათ ან ჰქონოდათ უფლება არ სცოდნოდათ მე-3 მუხლის საწინააღმდეგო პრაქტიკის არსებობის თაობაზე, რადგან მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების ქმედებებზე ეკისრებოდათ პასუხიმგებლობა და გააჩნიათ მათზე მუდმივი კონტროლის ვალდებულება.[21]

---

[15] ევროპის საბჭოს 1959 წლის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის" მე-3 მუხლი; გაეროს 1984 წლის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია"; ევროპის საბჭოს 1987 წლის „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ კონვენცია".

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება „Aksoy v. Turkey" (განაცხადი N21987/93) §62, 2000 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილება „Labita v. Italy" (განაცხადი N26772/95) §119; 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება „A. and Others v. the United Kingdom" [GC] (განაცხადი N 3455/05) §126; 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება „El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia" [GC] (განაცხადი N39630/09) §195 .

[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება „Chahal v.UK" (განაცხადი N22414/93) §79; 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება „Z.A. and Others v. Russia" [GC] (განაცხადი N.61411/15, 61420/15, 61427/15, 3028/16) §188.

[18] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის კონვენციის" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი; გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[19] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება „Hristozov and others v. Bulgaria" (განაცხადი N47039/11 and 358/12) §111.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება „Ireland v. the UK" (განაცხადი N5310/71) §159.

კონვენციის საწინააღმდეგო პრაქტიკად ჩაითვლება იდენტური ან ანალოგიური დარღვევების მრავალრიცხოვანი ფაქტების სისტემატური დაგროვება/განმეორება (არა ცალკეული ინციდენტები ან გამონაკლისები)[22] და ამ შემთხვევების ოფიციალური შეწყნარება, როცა პასუხისმგებელი პირები, დაუყოვნებლივ არ ატარებენ ღონისძიებებს, რათა დასაჯონ დამნაშავეები ან მოახდინონ პრევენცია მათი გამეორების შემთხვევაში; ან მაღალი თანამდებობის პირები, არაერთი ბრალდების მიუხედავად ავლენენ გულგრილობას, დაადგინონ სიმართლე ან ტყუილი ადეკვატური გამოძიების ჩატარებაზე უარის თქმით, ან იმგვარად, რომ სასამართლო პროცესებზე ასეთი საჩივრების სამართლიანი განხილვა უარყოფილია.[23]

სახელმწიფოს უმოქმედობა იწვევს მის პასუხიმგებლობას ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი მოხელეების მხრიდან მე-3 მუხლით აკრძალული ქმედებების ხშირი (არაერთეული) შემთხვევების აღსაკვეთად სათანადო ზომების გამოუყენებლობის გამო. ამასთან, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შესაძლოა გამოირიცხოს, თუ ადგილი აქვს ცალკეულ ინდივიდუალურ შემთხვევას, რომელსაც მოჰყვება რეაგირება დამნაშავის პასუხიმგებლობის სახით და პრევენციის ღონისძიების გატარება მისი განმეორების დაუშვებლობის მიზნით. ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ გატარებული ნებისმიერი ღონისძიება უნდა იყოს იმ მასშტაბის, რომელიც საკმარისია ამ ქმედებების გამეორების დასასრულებლად ან ამგვარი მოდელის/ნიმუშის ან სისტემის შესაწყვეტად.[24]

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს მატერიალურ ასპექტს: არასათანადო მოპყრობის ეროვნული კანონმდებლობით კრიმინალიზაციას, მის აღკვეთას და პრევენციის მიზნით შესაბამისი რეგულაციების არსებობას და სახელმწიფოს წარმომადგენლებისთვის წვრთნების ჩატარებას; ხოლო პოზიტიური ხასიათის პროცედურული ვალდებულება დამნაშავე პირთა გამოვლენისა და დასჯის მიზნით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას გულისხმობს.[25]

---

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება „Ireland v. the UK" (განაცხადი N5310/71) §159, 2001 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება „Cyprus v. Turkey" განაცხადი (25781/94) §115.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1983 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილება „France, Norway, Denmark, Sweden and the Netherlands v. Turkey" (განაცხადი N9940-9944/82) §19, 2014 წლის 03 ივლისის გადაწყვეტილება „Georgia v. Russia" (განაცხადი N13255/07) §124.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1983 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება „France, Norway, Denmark, Sweden and the Netherlands v. Turkey" (განაცხადი N9940-9944/82) DR 143, 2014 წლის 03 ივლისის გადაწყვეტილება „Georgia v. Russia" (განაცხადი N13255/07) §124.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვტილება 2 and El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia [GC], (განაცხადი N39630/09) §182; 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება „Bouyid v. Belgium" [GC], (განაცხადი N23380/09) §117.

გაეროს კონვენცია სახელმწიფოს ვალდებულებას აკისრებს წამების ყველა აქტი, მისი ჩადენის მცდელობა და მასში ნებისმიერი პირის თანამონაწილეობა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულად განიხილებოდეს.[26]

გაეროს კონვენცია სახელმწიფოს ავალდებულებს კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩაატარონ სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი იმის საფიქრალად, რომ არასათანადო მოპყრობის ან სასჯელის აქტი ჩადენილია.[27] სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერ პიროვნებას, ვინც აღნიშნულის შესახებ აცხადებს, უფლება ჰქონდეს, საჩივრით მიმართოს და თავისი საქმე სწრაფად და მიუკერძოებლად განახილვინოს მის კომპეტენტურ ორგანოებს.[28] სახელმწიფომ სისტემურად უნდა უზრუნველყოს, რომ წამების აქტის მსხვერპლმა მიიღოს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაცია.[29]

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, სახელმწიფოებს ევალებათ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადად[30] გამოაცხადონ მე-3 მუხლით აკრძალული ქმედებები, მათ შორის, კერძო პირთა მხრიდან ჩადენის შემთხვევაშიც.[31] სასამართლო პოზიტიური ვალდებულების დარღვევად ასევე მიიჩნევს პოლიციის უმოქმედობას მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ინფორმაციის არსებობისას.[32]

სახელმწიფოები დაცვის ეფექტიანი საშუალებების განსაზღვრაში გარკვეული თავისუფლებით სარგებლობენ,[33] თუმცა ეროვნულ დონეზე უნდა უზრუნველყონ საშუალებების ხელმისაწვდომობა კონვენციით გარანტირებული უფლებების შინაარსის

---

[26] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის" მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

[27] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ  კონვენციის მე-12 მუხლი, მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.

[28] იქვე.

[29] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის" მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება „A v. UK" (განაცხადი N100/1997/884/1096) §22, 2001 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება  „Z v. UK" (29392/95) §73, 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება „Kovaļkovs v. Latvia" (განაცხადი N35021/05) §47.

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2001 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება  „Z v. UK" (29392/95) §73, 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" (განაცხადი N73235/12) §66, 2003 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება „M.C. v. Bulgaria" (განაცხადი N39272/98) §150,151,153; 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება „T.M.and C.M. v. the Republic of Moldova" (განაცხადი N26608/11) §38. პენიტენციურ დაწესებულებებთან დაკავშირებით იხ: 2003 წლის 09 სექტემბრის გადაწყვეტილება „Pantea v Romania" (განაცხადი N33343/96),  2008 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება „Rodić and Others v Bosnia and Herzegovina" (განაცხადი N22893/05) §71-73; 2021 წლის გადაწყვეტილება „X and Others v. Bulgaria" [GC], (განაცხადი N22457/16) §184.

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" (განაცხადი N73235/12) §70,71,72,73.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება  „Chahal v. the UK" (განაცადი N22414/93) §145.

განსახორციელებლად,[34] რაც არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში ეფექტიანი გამოძიების,[35] საგამოძიებო პროცედურებზე ხელმისაწვდომობას[36] და ფაქტის დადასტურებისას შესაბამისი ანაზღაურების მიღებას გულისხმობს.

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება შექმნას არასათანადო მოპყრობის ჩამდენი პირების პასუხისმგებლობის საკანონმდებლო ჩარჩო, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა დამნაშავე პირთა კანონის მთელი სიმკაცრით დასასჯელად. გაეროს კონვენციის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია დააწესოს სათანადო სასჯელი ამგვარი დანაშაულებისთვის, მათი მძიმე ხასიათის გათვალისწინებით.[37]

## ზოგადი და სპეციალური მუხლების გამიჯვნის მნიშვნელობა[38]

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სამართალწარმოების პროცესში აუცილებელია ქმედებების სწორი კვალიფიკაცია. ამისთვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, არასათანადო მოპყრობის ფაქტის ზუსტი იდენტიფიცირება, მისი კონკრეტული სახის განსაზღვრა და ამავდროულად, არასათანადო მოპყრობის მკაფიო გამიჯვნა სხვა შესაძლო მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებებისგან.

ქართულ კანონმდებლობაში არსებული არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით განსაზღვრული დანაშაულებისგან - ძალადობით, იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენებისგან. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული მსგავსება და ურთიერთთანხვედრა სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებითა და არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით აკრძალულ ქმედებებს შორის.

არასათანადო მოპყრობის ფაქტების აკრძალვის ეროვნულ დონეზე არსებული ნორმების ანალიზისთვის საჭიროა საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა, რომელთან შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა.

---

[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Vilvarajah v. the United Kingdom" (განაცხადი N 13163/87; 13164/87; 13165/87; 13447/87; 13448/87) §122.

[35] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება „Aksoy v. Turkey" (განაცხადი N21987/93) §98, 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება „Selmouni v. France" (განაცხადი N 25803/94) §79, 2012 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Mikiashvili v. Georgia" (განაცხადი N 18996/06) §72.

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება „Ilhan v. Turkey" (განაცხადი N22277/93) §97.

[37] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

[38] ამ თავში შიდა ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად მიმოხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო მოპყრობის განსხვავების დადგენის უნივერსალური სტანდარტი არ არსებობს. როგორც წესი, მე-3 მუხლის სფეროში მოქცევისთვის მოპყრობამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა მიაღწიოს. შეფასებისას გაითვალისწინება მოპყრობის შინაარსი, ბუნება, ფორმა, ხანგრძლივობა, ფიზიკური და სულიერი ზიანი, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.[39]

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოცემული ცნებების განმარტებებს არ გვთავაზობს. ამასთან, სასამართლოს პოზიცია შეესაბამება გაეროს კონვენციაში განსაზღვრული „წამების" დეფინიციას: *„წამება" ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ქმედება ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით."*[40]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, წამება ხორციელდება კონკრეტული მიზნით: ინფორმაციის ან აღიარების მოპოვების ან დასჯის მიზნით,[41] წინასწარი განზრახვით  და მსხვერპლში იწვევს მძიმე და სასტიკ ტანჯვას[42] და სწორედ „მიყენებული ტანჯვის ინტენსივობის საფუძველზე"[43] ხდება ქმედების წამებად შეფასება.

---

[39] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Assenov and others v.Bulgaria" (განაცხადი N 90/1997/874/1086) §94; 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Muršić v. Croatia [GC] (განაცხადი N7334/13) §97..

[40] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის" პირველი მუხლი.

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება „Selmouni v. France" (განაცხადი N25803/94) §114, 2012 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Virabyan v. Armenia" (განაცხადი N40094/05) §156; 2014 წლის გადაწყვეტილება: „Al Nashiri v. Poland" (განაცხადი N ) §508 და 2021 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება „Petrosyan v. Azerbaijan" (განაცხადი N32427/16) §68.

[42] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება  „Ireland v. the UK (განაცხადი N5310/71) §167, 2012 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Virabyan v. Armenia" (განაცხადი N40094/05) §157.

[43] ადამიანის უფლბათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება  „Ireland v. the UK (განაცხადი N5310/71) §167, 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება „Selmouni v. France" (განაცხადი N25803/94) §97, 100, 104,105.

სასამართლო მიუთითებს კონვენციის მე-3 მუხლში არსებულ განსხვავებაზე წამებასა და არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას შორის. წამებისგან განსხვავებით, არაადამიანურ მოპყრობას კონკრეტული მიზანი არ ახასიათებს და მისგან მიყენებული ტკივილის/ტანჯვის ინტენსივობითაც განსხვავდება.[44] სასამართლო არაადამიანურად მიიჩნევს წინასწარი განზრახვით ჩადენილ მოპყრობას, რომელიც სხეულის დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს, დამამცირებელ მოპყრობად თვლის ქმედებას, რომელიც შეურაცხყოფს ან ამცირებს პირს, ან აკნინებს მის ღირსებას ან აღძრავს მასში შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც მორალური თუ ფიზიკური გამძლეობის გატეხა შეუძლია.[45] დისკრიმინაციული მოპყრობა შესაძლებელია შეფასდეს დამამცირებლად[46] კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული, გადამეტებული ძალის გამოყენებას არასათანადო მოპყრობად მიიჩნევს.[47]

გაეროს კონვენციაც განასხვავებს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის სხვა აქტებს, რომელიც არ არის წამების ტოლფასი და ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით.[48]

საქართველოს კანონმდებლობაში არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმების (სსკ-ის $144^1$-$144^3$ მუხლები) საკანონმდებლო დეფინიციაში ასახულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კრიმინალიზებული ქმედებები. ამავდროულად, არასათანადო მოპყრობას მოიცავს სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმების მაკვალიფიცირებელი გარემოებები (სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ" და „გ" ქვეპუნქტები): ძალადობით, იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების

---

[44] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება „Ireland v. the UK (განაცხადი N5310/71) §167.

[45] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება „Pretty v. the UK" (განაცხადი N2346/02) §52, 2001 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება „Price v. The UK" (განაცხადი N33394/96) §30; 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება „Gäfgen v. Germany [GC], (განაცხადი N22978/05) §89; 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება „Ilaşcu and Others v. Moldova and Russia" [GC], (განაცხადი N 48787/99) §425; 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება „M.S.S. v. Belgium and Greece" [GC], (განაცხადი N 30696/09) §220.

[46] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2005 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება „Moldovan and others v. Romania" (განაცხადი N41138/98, N64320/01) §111-113; 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება Women's Initiatives Supporting Group and Others v. Georgia (განაცხადი N73204/13, N74959/13) §60-61; 2022 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება „Oganezova v. Armenia" (განაცხადი N71367/12,72961/12) §97 .

[47] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Mikiashvili v. Georgia" განაცხადი N18996/06 §77; 2022 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება „Kvirikashvili v. Georgia" (განაცხადი N34720/16) §14-17.

[48] გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია, მუხ. 16, პუნქ. 1.

შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება; ასევე, შესაძლებელია სხვა მუხლებით აკრძალული ქმედებებიც.[49]

მსგავს შემთხვევაში განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მსჯელობა არასათანადო მოპყრობის სპეციალური კანონმდებლობისა და უფლებამოსილების გადამეტების ნორმის გამოყენების საკითხზე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების კონტექსტში. მაგალითად, ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმის ფარგლებში მოლდოვას ეროვნულმა სასამართლოებმა პოლიციელების მხრიდან განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპყრობა დაადგინეს და გამამტყუნებელი განაჩენი უფლებამოსილების აშკარა გადამეტებისთვის (სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 პუნქტით[50]) გამოიტანეს.[51] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ წამების ფენომენის აღმოფხვრის მიზნით სპეციალურად შექმნილი კანონმდებლობის პრევენციული ეფექტის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს კანონმდებლობა გამოიყენება მაშინ, როცა გარემოებები მოითხოვს. ადამიანის ცემა ფეხისგულებზე ყოველთვის განზრახ ქმედებაა და კვალიფიცირდება, როგორც წამება. ამგვარ გარემოებებში, გამოძიების დაწყება წამების ნაცვლად სხვა მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება), მისი შეფარდების საფუძვლის მითითების გარეშე, არასაკმარისია იმ კანონმდებლობის პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად, რომელიც სპეციალურად შეიქმნა არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით[52]. სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა სხვა გარემოებებთან ერთად დაადგინა იმის გამოც, რომ პოლიციელების მიმართ სამართალწარმოება - მათთვის შეფარდებული სასჯელის სიმსუბუქის გათვალისწინებით - და ის ფაქტი, რომ პოლიციელთა ბრალეულობის დადგენისას კონკრეტულად წამების ამკრძალავი სამართლებრივი ნორმები არ შეფარდებულა, მომავალში ამგვარ ქმედებათა პრევენციისთვის საკმარისად ამკრძალავ ეფექტს ვერ უზრუნველყოფდა.[53]

---

[49] სსკ-ის 335-ე მუხლი - განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება; სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი - პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით.

[50] „მუხლი 185: უფლებამოსილების გადამეტება ან ultra vires ქმედებები „საჯარო მოხელეები უფლებამოსილების გადამეტების ან ultra vires ქმედებების გამო, ანუ ქმედებების, რომლებიც აშკარად სცდება მათთვის კანონით მინიჭებული უფლებებისა და უფლებამოსილების ფარგლებს, თუ ამით ისინი საზოგადოებრივ ინტერესს ან ფიზიკური ან იურიდიული პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არსებითად აზარალებენ, უნდა დაისაჯონ [...] უფლებამოსილების გადამეტება ან ultra vires ქმედებები, რომლებსაც თან ერთვის ძალადობა ან იარაღის გამოყენება ან წამება და აზიანებს მსხვერპლის პირად ღირსებას, ისჯება [...]" იხ. 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Valeriu and Nicolae Roşca v. Moldova", განაცხადი N41704/02, §37.

[51] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Valeriu and Nicolae Roşca v. Moldova", განაცხადი N41704/02, §32-33.

[52] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Valeriu and Nicolae Roşca v. Moldova", განაცხადი N41704/02, §74.

[53] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Valeriu and Nicolae Roşca v. Moldova", განაცხადი N41704/02, §76.

ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა სასამართლომ მოლდოვას წინააღმდეგ განხილულ სხვა საქმეშიც: მოლდოვის ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელს არასათანადოდ მოეპყრნენ, ხოლო მთავრობამ გაეროს წამების აღკვეთის კომიტეტს გაუგზავნა ანგარიში, სადაც მომჩივნის მიმართ მოპყრობა წამებად დაახასიათა. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო დასკვნით დადასტურდა, რომ ამან გამოიწვია ტრავმა და დაზიანება, რაც შეესაბამებოდა მის საჩივარს. განმცხადებლის მიმართ ყველა ქმედება განხორციელდა აღიარების მიზნით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს ქმედებები მხოლოდ წამებად ჩათვალა (კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით) და დაადგინა, რომ ამ გარემოებებში არასათანადო მოპყრობის პრობლემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის პრევენციული შედეგის უზრუნველსაყოფად არასაკმარისია სისხლის სამართალწარმოების დაწყება არა სსკ-ის 101/1-ე მუხლით (წამება), არამედ ნაკლებად მძიმე დანაშაულის 101-ე მუხლით (სხეულის დაზიანება), თანაც შესაბამისი განმარტების გარეშე. [54]

ამდენად, ეროვნულ დონეზე გამოძიება არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით უნდა დაიწყოს, ეფექტიანად ჩატარდეს და მართლმსაჯულება განხორციელდეს. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განჭვრეტადი, ყოველგვარი ბუნდოვანების გამომრიცხავი და დანაშაულებრივი ქმედებების შემადგენლობების დუბლირებისგან დაცული კანონმდებლობა, რომელიც ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარების შესაძლებლობას ქმნის. სხვაგვარად, წარმოუდგენელია სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულების შესრულება, როგორიცაა წამების ამკრძალავი სპეციალური ნორმების პრევენციული ეფექტის მიღწევა.

ევროპული სასამართლოს მიერ ზემოთ განხილული საქმეებში ასახული პრობლემა დამახასიათებელია ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვისაც.

საგულისხმოა, რომ 2015 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა შეშფოთება გამოთქვა, რომ დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს/ინსპექტორს (ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ იყო ამოქმედებული) შესაძლოა არ ჰქონოდა იურისდიქცია რელევანტურ საქმეებზე მხოლოდ იმის გამო, რომ საქმეები არ იყო წარმართული წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის კვალიფიკაციით, არამედ სხვა დანაშაულით. მომხსენებელი ინფორმირებული იყო ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც პოლიციის ან ციხის თანამშრომლები იყვნენ ეჭვმიტანილნი არასათანადო მოპყრობაში, თუმცა გამოძიება მიმდინარეობდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, რაც უფრო მსუბუქად ისჯებოდა.[55]

---

[54] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილება „Paduret v. Moldova განაცხადი N33134/03, პარ. 74.

[55] იხ. < https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement> ბოლოს ნანახია: 19.09.2022 წელს, პარ. 67.

ქმედების კვალიფიკაციის საკითხზე პასუხისმგებელი ორგანოები

თავდაპირველად ვიმსჯელებთ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ვინ ახდენს ქმედების კვალიფიკაციას, ხოლო მომდევნო ქვეთავებში კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმოხილვა და ანალიზი იქნება წარმოდგენილი.

გამოძიების დაწყების ვალდებულება გამომძიებელს და პროკურორს აქვთ.[56] შესაბამისად, ქმედების პირველადი კვალიფიკაცია საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილებაა. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპს, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი გამოიტანოს ბრალდების დადგენილება,[57] სადაც სხვა გარემოებებთან ერთად აღნიშნება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია კონკრეტული დანაშაული[58].

ასევე, პროკურორი უფლებამოსილია შეცვალოს ბრალდება.[59] ამასთან, ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე ბრალდებით დასაშვებია წინასასამართლო სხდომამდე;[60] ხოლო ბრალდებაზე ან მის ნაწილზე უარის თქმის, ან უფრო მსუბუქი ბრალდებით შეცვლის უფლებით პროკურორი სარგებლობს ზემდგომი პროკურორის თანხმობით ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე.[61] გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.[62] სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება,[63] რომელიც მტკიცდება სასამართლოს მიერ და აისახება სასამართლოს განაჩენში.[64]

ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე, განაჩენის გამოტანამდე, ასევე, საპროცესო შეთანხმებისას ქმედების დანაშაულად კონკრეტული მუხლით კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა პროკურორის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ქმედების კვალიფიკაციის საკითხზე, კერძოდ, განაჩენის დადგენისას წყვეტს, ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.[65]

---

[56] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 100.
[57] იქვე, მუხ. 169, ნაწ. 2.
[58] იქვე, მუხ. 169, ნაწ. 3, ქვეპ. „დ“.
[59] იქვე, მუხ. 33, ნაწ. 6, ქვეპ. „ი“.
[60] იქვე, მუხ. 219, ნაწ. 1.
[61] იქვე, მუხ. 250, ნაწ. 1 და 2.
[62] იქვე, მუხ. 210, ნაწ. 2.
[63] იქვე, მუხ. 209, ნაწ. 1.
[64] იქვე, მუხ. 212, ნაწ. 1.
[65] იქვე, მუხ. 260, ნაწ. 1, ქვეპ. „ა“.

გამამართლებელი განაჩენში აღინიშნება გადაწყვეტილება წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ,[66] ხოლო გამამტყუნებელში - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (ნაწილი, ქვეპუნქტი), რომლითაც მიჩნეულია დამნაშავედ;[67] ამასთან, დასაშვებია გამამტყუნებელ განაჩენში ბრალდების ნაწილის უსაფუძვლოდ ან დანაშაულის კვალიფიკაციის არასწორად მიჩნევისას, ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლა.[68] პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გასაჩივრება შესაძლებელია, თუ იგი აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია,[69] ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საჩივრდება კასატორის მიერ მისი უკანონოდ მიჩნევის შემთხვევაში, რაც გულისხმობს, იმასაც, თუ მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა.[70]

სააპელაციო[71] და შემდეგ უზენაესი[72] სასამართლო უცვლელად ტოვებს, ცვლის ან აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენს. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს არ  აქვთ გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის, სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლის გამოყენების, უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნის ან მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო გადაწყვეტილების მიღების უფლება, თუ საქმე განიხილება დაცვის მხარის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია.[73] აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სწორედ ამ მოთხოვნით და ასეთი პოზიცია ეკავა ქვედა ინსტანციის სასამართლოებში.[74]

საგულისხმოა, რომ საკასაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[75] შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაციის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### არასათანადო მოპყრობის ამკრძალავი სპეციალური ნორმები

გაეროს და ევროპის საბჭოს კონვენციებით და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით აკრძალულ ქმედებას - წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა თავში ასახული სპეციალური ნორმები - 144[1] (წამება), 144[2] (წამების მუქარა) და 144[3] (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა).

---

[66] იქვე, მუხ. 276, ქვეპ. „ბ“.
[67] იქვე, მუხ. 274, ქვეპ. „გ“.
[68] იქვე, მუხ. 273, ნაწ. 1.
[69] იქვე, მუხ. 292, ნაწ. 1.
[70] იქვე, მუხ. 300, ქვეპ. „ბ“.
[71] იქვე, მუხ. 298, ნაწ. 1.
[72] იქვე, მუხ. 307, ნაწ. 1.
[73] იქვე, მუხ. 298, ნაწ. 3 და მუხ. 308, ნაწ. 1.
[74] იქვე, მუხ. 298, ნაწ. 4 და მუხ. 308, ნაწ. 2.
[75] იქვე, მუხ. 307, ნაწ. 3.

ხსენებული მუხლები განხორციელებული ქმედების დამდგარ შედეგად ადამიანის ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას განიხილავს. ლიტერატურაში მითითებული ნორმებით სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტად აღნიშნულია ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა, მისი პატივი და ღირსება, ასევე, დამატებითი დაცვის ობიექტია ადამიანთა თანასწორუფლებიანობა. დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ქმედებაში (მოქმედებასა ან უმოქმედობაში), შედეგში (ძლიერი ფიზიკური, ფსიქიკურ ტკივილი ან მორალურ ტანჯვა) და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის. შესაბამისად, წარმოადგენს მატერიალურ დანაშაულს[76] (გარდა წამების მუქარისა).

ქართულ კანონმდებლობაში წამება (სსკ-ის 144[1] მუხლი) არის პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის; კანონმდებელი ცალკე დანაშაულად - წამების მუქარად (სსკ-ის 144[2] მუხლი) გამოყოფს ზემოხსენებული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარას, განხორციელებულს იმავე მიზნით, თუ ეს მუქარა არის რეალური და იმწუთიერი; ხოლო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა (სსკ-ის 144[3] მუხლი) გულისხმობს პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

წამებაზე ნაკლები სიმძიმის არასათანადო მოპყრობის ფორმებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლით კრიმინალიზებული არასათანადო მოპყრობის ფორმები გამიჯნული არ არის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის ავტორები[77] ყურადღებას ამახვილებენ კანონმდებლობის ხარვეზზე - სსკ-ის 144[3] მუხლი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისგან განსხვავებით, ითვალისწინებს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დეფინიციას, მიუხედავად ამ ქმედებების განსხვავებისა.

საგულისხმოა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალის მიხედვით, კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობა გამიჯნულია და შეფასებულია როგორც

---

[76] მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი" პირველი წიგნი, 2011 წ. გამომცემლობა „მერიდიანი" გვ. 247, 258.

[77] იხ. „წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში", საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2019 წ. გვ. 56 < https://rm.coe.int/turtore-geo/1680993fe0 > [ბოლოს ნანახია: 27.06.2023 წ.]

ან არაადამიანური[78] ან დამამცირებელი[79], თუმცა რამდენიმე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ერთობლიობაში არაადამიანურად და დამამცირებლად[80] მიიჩნია მსხვერპლის მიმართ მოპყრობა. შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნევთ სსკ-ის 144[3] მუხლის საკანონმდებლო დეფინიციის ჩამოყალიბებას არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის ფორმულირებით, რომ პრაქტიკაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით შესაძლებელი იყოს ქმედების ზუსტი და სწორი კვალიფიკაცია.

საგულისხმოა, რომ სსკ-ის 144[1]-ე, 144[2]ე' და 144[3]-ე მუხლების ძირითადი შემადგენლობების დისპოზიციები არ აკონკრეტებს დანაშაულის სუბიექტს, შესაბამისად, სუბიექტი ზოგადია - შეიძლება იყოს როგორც საჯარო მოხელე, ისე ფიზიკური პირი. თუმცა იგივე ქმედება, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, ასევე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით[81] წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებებს (წამების შემთხვევაში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს). სპეციალური სუბიექტის არსებობა 144[1] და 144[3] მუხლებში განსაზღვრავს უფრო მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საფრთხეს და, შესაბამისად, საფუძველს ქმნის უფრო მკაცრი სასჯელისთვის.

არასათანადო მოპყრობის სუბიექტს უკავშირდება და მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სახელმწიფოს წარმომადგენლის როგორც მოქმედების, ასევე, უმოქმედობის სწორი კვალიფიკაცია: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს გაეროს კონვენციის დებულებებზე[82] და წამებად მიიჩნევს სახელმწიფო მოხელის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, წაქეზებით, თანხმობით ან ცოდნით[83] ჩადენილ ქმედებას. გაეროს კონვენციის თანახმად, წამება გულისხმობს მის ჩადენას სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით,[84] თუმცა ზიანს არ აყენებს რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტს ან ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს დებულებებს უფრო ფართო გამოყენების თაობაზე.[85] ამდენად, კონვენციას არ ეწინააღმდეგება და დასაშვებია, რომ ეროვნული კანონმდებლობა წამების სუბიექტს უფრო ფართოდ განიხილავდეს, ვიდრე საერთაშორისო ხელშეკრულება.

---

[78] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 01 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „Gäfgen v. Germany" განაცხადი N22978/05 §131.

[79] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Ulemek v. Croatia" განაცხადი N21613/16, §130.

[80] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1995 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება „Ribitsch v. Austria" განაცხადი N18896/91 §39, 2016 წლის 04 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Yaroslav Belousov v. Russia" განაცხადი N 2653/13, 60980/14 § 111.

[81]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 144[1] და 144[3] , ნაწ. 2, ქვეპ. „ა" და „ბ".

[82] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება „Selmouni v. France" (განაცხადი N25803/94) §97.

[83] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს2004 წლის 08 ივლისის გადაწყვეტილება „Ilascu and others v. Moldova and Russia" (განაცხადი N48787/99) §426.

[84] გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია, მუხ. 1.

[85] იქვე, მუხ. 1, პუნქ. 2.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ საქართველოში ვიზიტის შედეგად მომზადებულ ანგარიშში[86] აღნიშნულია გაეროს კონვენციით გათვალისწინებულ წამების დეფინიციასა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ დისპოზიციას შორის გარკვეული თვალსაზრისით არსებული განსხვავება. ანგარიშის მიხედვით, კონვენციაში წამების მიზნების ინკლუზიური ჩამონათვალია, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნული სია - ექსკლუზიურია; ასევე, სსკ-ის 144[1] მუხლის პირველ ნაწილში დამნაშავეების დეფინიციაში არ წერია ამ დანაშაულის ჩადენა მოხელის ან სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელი სხვა პირის წაქეზებით, თანხმობით/მდუმარე თანხმობით.[87] ანგარიშის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებებში წამებად ითვლება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ან რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქმედება.[88] მომხსენებელმა საქართველოს მთავრობის მიმართ გასცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დამნაშავეს მიიღოს უფრო მსუბუქი სასჯელი საპროცესო შეთანხმების არაადეკვატური გამოყენების თუ სსკ-ის 144-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაციის გამო.[89] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] - 144[3] მუხლებში პირდაპირი მითითების არარსებობის მიუხედავად, ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, მისი წაქეზებით, ნებართვით ან დუმილით გამოხატული თანხმობით ჩადენილი ქმედებების წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დასჯადობის შესაძლებლობას ითვალისწინებს კოდექსის ზოგადი ნაწილის შესაბამისი ნორმები ამსრულებლობის/თანაამსრულებლობის,[90] თანამონაწილეობის (ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე)[91] და უმოქმედობით[92] (ე.ი. მდუმარე თანხმობით) სამართლებრივი (ზედამხედველი) გარანტის მიერ.

რაც შეეხება გაეროს კონვენციის მიხედვით გათვალისწინებულ დისკრიმინაციას, როგორც წამების მიზანს, სსკ-ის 144[1] და 144[3] მუხლები დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ჩადენას: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა

---

[86] იხ. <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement> ბოლოს ნანახია: 19.09.2022 წელს.

[87] იქვე, პარ. 15

[88] იქვე, პარ. 17

[89] იქვე, პარ. 112 „b"

[90] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 22.

[91] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 24 და 25.

[92] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: „უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული."

შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო.[93]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, დისკრიმინაციული მოპყრობა, მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდეს, თუ ასეთი მოპყრობა სიმძიმის ისეთ ზღვარს აღწევს, რაც ადამიანის ღირსების შელახვას წარმოადგენს.[94] სასამართლო საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე გამოავლინოს შესაძლო დისკრიმინაციული განზრახვა[95] და რამდენადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა გარკვევით უთითებს, რომ სქესობრივი ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით განპირობებული დისკრიმინაცია წარმოადგენს მოტივს და დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას. შესაბამისად, აუცილებელი იყო სრულფასოვანი გამოძიება ამ მიმართულებით.[96]

ამდენად, სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ძირითადი და მაკვალიფიცირებელი შემადგენლობები სრულად და ამომწურავად მოიცავს არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევებს, თუმცა კანონმდებლობა არასათანადო მოპყრობის ფაქტების სხვა ნორმებთან სუბსუმფციის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. კანონი არ იძლევა მკაფიო და ნათელ ზღვარს არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებითა და კოდექსის სხვა ნორმებით გათვალისწინებულ ქმედებებს შორის. სწორედ აღნიშნული ბუნდოვანება ხდება სერიოზული პრობლემის საფუძველი სამართალდამცავი ორგანოებისთვის ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს.

### სამოხელეო დანაშაულის ზოგადი (სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლები) ნორმები

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არასათანადო მოპყრობა კრიმინალიზებულია სპეციალური ნორმებით (სსკ-ის 144[1]-ე, 144[2]ე, და 144[3]-ე), თუმცა ხსენებულ ქმედებათა ნაწილს მოიცავს სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებიც (სსკ-ის 332-ე[97] და 333-ე[98] მუხლები) ასევე, სხვა მუხლებით აკრძალული ქმედებებიც:

---

[93] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხ. 144[1] ნაწ. 2 ქ/პ „ვ" და მუხ. 144[3] ნაწ. 2 ქ/პ. „ვ".

[94] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2015 წლის 12 მაისის გადაწყვტილება „Identoba and others v. Georgia" განაცხადი N73235/12 პარ. 65; 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება „Women's initiatives supporting group and others v. Georgia" განაცხადი N73204/13 და N74959/13 პარ. 59

[95] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2015 წლის 12 მაისის გადაწყვტილება „Identoba and others v. Georgia" განაცხადი N73235/12 პარ. 67; 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება „Women's initiatives supporting group and others v. Georgia" განაცხადი N73204/13 და N74959/13 პარ. 63

[96] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2015 წლის 12 მაისის გადაწყვტილება „Identoba and others v. Georgia" განაცხადი N73235/12 პარ. 76-77; 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება „Women's initiatives supporting group and others v. Georgia" განაცხადი N73204/13 და N74959/13 პარ. 66

[97] სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

[98] სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (სსკ-ის 335-ე მუხლი), პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით (სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (332-ე მუხლი) და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (333-ე მუხლი) შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ <u>მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ</u>, სხვა ფიზიკური პირი შეიძლება თანამონაწილე (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) იყოს. აღნიშნულ დანაშაულთა არსებობისათვის აუცილებელია, რომ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მოქმედება დაკავშირებული იყოს მის სამსახურებრივ მდგომარეობასთან, მისგან გამომდინარეობდეს და ჩადენილი იყოს მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში და მასთან დაკავშირებით.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად განხორციელებული ქმედებაა, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია; ხოლო უფლებამოსილების გადამეტება იწვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევას. ხსენებული დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებად განიხილება ქმედება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.[99]

აკადემიური შეხედულებით, ძალადობის გამოყენება გამოიხატება დაზარალებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებაში. ძალადობად შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულის ცემა, ფიზიკური ტკივილის მიყენება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა.[100] ადამიანის უფლებების არსებითი დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ისე მორალური ზიანის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით და არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით გათვალისწინებული  დანაშაულები განსხვავდება ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებით:

- სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლებით განსაზღვრული დანაშაულის ქმედების შემადგენლობა ძალადობით,[101] იარაღის გამოყენებით ან ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას მოიცავს; წამება ხასიათით,

[99] სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.
[100] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-5 გამოცემა, 2017 წელი, გვ. 325.
[101] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ძალადობა მოიცავს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რაც ფიზიკურ ტკივილს იწვევს (არა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას).

ინტენსივობით ან ხანგრძლივობით გამორჩეული პირობების შექმნას ან მოპყრობას გულისხმობს, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა კი - დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას;

- წამება პირდაპირი განზრახვით ჩადენილ, მიზნით (ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, დაშინება, ან იძულება ანდა დასჯა) დეტერმინირებულ დელიქტს წარმოადგენს, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობას ხსენებული მიზანი არ აქვს, ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ამგვარი მიზნის გარეშე ხორციელდება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას კი - თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზანი ახასიათებს და სპეციალური ამსრულებელი - მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ჰყავს. წამების, ასევე, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სუბიექტი ზოგადია - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი პირი, ხოლო საჯარო მოხელის მიერ არასათანადო მოპყრობის ჩადენა მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს;
- არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებიც და სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებიც განზრახ, მატერიალურ და შედეგიან დანაშაულს მიეკუთვნება, თუმცა განსხვავდება დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანით: წამება იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა - ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას, ხოლო უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება - კანონიერი ინტერესის და უფლებების არსებით დარღვევას.

ზემოხსენებული განსხვავების მიუხედავად, მოცემულ დანაშაულებს შორის აშკარა მსგავსებაც შეინიშნება, კერძოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით ფიზიკური ან მორალური ზიანის მიყენების დროს (ძალადობა, სხეულის დაზიანება და სხვა), სახეზე შესაძლოა იყოს არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა სპეციალური მუხლების (სსკ-ის $144^1$, $144^2$ და $144^3$ მუხლები) შემადგენლობა.

სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმები (332-ე და 333-ე მუხლები) ითვალისწინებენ მოხელის მიერ ჩადენილ იმგვარ ქმედებას, რომელიც გულისხმობს ძალადობას, იარაღის გამოყენებას ან დაზარალებულის პირადი ღირსების შელახვას, რამაც შესაძლოა ქმედების კვალიფიკაციის დროს გაურკვევლობა გამოიწვიოს, ვინაიდან არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმები ითვალისწინებენ ნებისმიერი პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს, რომელიც მკაფიოდ ადგენს შედეგს - ძლიერ ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას.

სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპის თანახმად, არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა სპეციალურ მუხლებს (სსკ-ის $144^1$, $144^2$ და $144^3$ მუხლები) სამოხელეო

დანაშაულის ზოგად ნორმებთან (სსკ-ის 332, 333-ე მუხლები) კონკურენციისას უპირატესობა ენიჭება და არც დანაშაულთა ერთობლიობას ქმნის.[102]

შესაბამისად, სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით ქმედების კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს მაშინ, თუ შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედება არ რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმებით. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლებში $144^1$-$144^3$-ე მუხლისგან განსხვავებით, სუბიექტური შემადგენლობა არ მოიცავს დაზარალებულისთვის განზრახ ტკივილის ან ტანჯვის მიყენებას; მსხვერპლს არ მიმართავენ აღიარებითი ან სხვა ტიპის ჩვენების მიღებისთვის; ძალადობის ობიექტები არ არიან გარკვეული მიზეზების გამო უფლებაშეზღუდული პირები (პატიმრები, ტყვეები, სამხედრო მოსამსახურეები, დახურულ ან სპეციალურ დაწესებულებებში მოთავსებული პირები და ა.შ.).

დანაშაულის დამდგენი კანონის განჭვრეტადობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და ფარგლების დადგენის შესაძლებლობას.[103] შესაბამისად, კანონმდებლობა მკაფიოდ და ბუნდოვანების გარეშე უნდა განსაზღვრავდეს ქმედების შემადგენლობებს და გამორიცხავდეს არასათანადო მოპყრობის ფაქტების სპეციალური ნორმების გარდა, სხვა მუხლებით კვალიფიკაციის შესაძლებლობას. მოქმედი რეგულაციით, სსკ-ის 332-333-ე მუხლების მაკვალიფიცირებელი გარემოებები ამგვარი ბუნდოვანების და ორაზროვნების საფუძველს ქმნის.

### სხვა მომიჯნავე ნორმები (სსკ-ის 335-ე და 378-ე მუხლები)

მართალია, კვლევა არ მოიცავს საერთო სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიღების იძულება) და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით) გამოტანილი განაჩენების ანალიზს, თუმცა ამ მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით აკრძალული ქმედებები.

სსკ-ის 335-ე მუხლის დისპოზიცია[104] ცალსახად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის $144^1$ და $144^2$ მუხლების (წამება, წამების მუქარა) შინაარსს. სსკ-ის 335-ე მუხლის პირველი ნაწილით კრიმინალიზებულია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ანდა ექსპერტის – დასკვნის მიცემისათვის; ხოლო მე-2 ნაწილი დანაშაულად აცხადებს იმავე ქმედებას ჩადენილს სიცოცხლისათვის ან

---

[102] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 16, ნაწ. 2.

[103] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.05.2013 წ. N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", § II - §31.

[104] „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის".

ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ძნელი წარმოსადგენია, სხვა რა ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს მოხელის მხრიდან ჩადენილ, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებას ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით წამებად განიხილება, ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღების მიზნით განხორციელებული ქმედება, რაც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას.

რაც შეეხება სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს - პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, ხსენებული ქმედების მიზანი ემთხვევა წამების (144[1] მუხლი) მიზანს, ობიექტური შემადგენლობა (იძულების სახით) - არაადამიანურ და დამამცირებელი მოპყრობის დისპოზიციას (სსკ-ის 144[3] მუხლი). შესაბამისად, თუ პატიმარს აიძულებენ შეცვალოს ან უარი თქვას ჩვენებაზე, მნიშვნელოვანია დადგინდეს იძულების ფორმა, მაგ. საკანში არაადამიანური ან დამამცირებელი პირობების შექმნით. შესაბამისად, შესაძლებელია ხსენებული ქმედების კვალიფიკაცია არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლით, მოპყრობის ხასიათის, ინტენსივობის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

## საკანონმდებლო ნაკლოვანების აღმოფხვრის საჭიროება

საქართველოს კანონმდებლობით, არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით (სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლები) გათვალისწინებული დანაშაულები - წამება, წამების მუქარა, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სრულად და ამომწურავად მოიცავს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს. ამავდროულად, არასათანადო მოპყრობას მოიცავს მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით და ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ" და „გ" ქვეპუნქტები); ასევე, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულების (სსკ-ის 335-ე მუხლი) და ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება (სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმები ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს, ხოლო მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებები, კერძოდ, უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება იარაღით, ძალადობით, ღირსების შეურაცხყოფით მოპყრობის ხარისხის, ინტენსივობის, ხანგრძლივობის და მიყენებული ტანჯვის შესაბამისად შესაძლებელია გვაძლევდეს როგორც წამების, ასევე, მინიმუმ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შემადგენლობას. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენების მიცემის, შეცვლის ან მის მიცემაზე უარის თქმის იძულებაზეც.

ხსენებული საკანონმდებლო ხარვეზი პრაქტიკაში ქმნის პრობლემას და საშუალებას აძლევს საგამოძიებო, ბრალდებისა და სასამართლო ორგანოებს არასათანადო მოპყრობის ფაქტები უფრო მსუბუქი მუხლებით დაკვალიფიცირდეს.

ბუნდოვანების აღმოფხვრისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარების მიზნით საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომ მხოლოდ არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმების (სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლები) დისპოზიცია მოიცავდეს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს და სხვა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დუბლირების რისკები შემცირდეს.

ამგვარ საშუალებად მიგვაჩნია მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით, ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტების და ბოროტად გამოყენების; ასევე, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით იძულების შემთხვევების მხოლოდ არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით დასჯადობის არსებობა. შესაბამისად, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, ასევე, 335-ე მუხლის და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილის ამოღება.

ამასთან, აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ საკანონმდებლო ცვლილება არ გულისხმობს მოცემული ქმედებების დეკრიმინალიზაციას, რადგან როგორც უკვე ითქვა, მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით და ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და ბოროტად გამოყენების ფაქტები, ასევე, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ცვლილება მიმდინარე და დასრულებულ საქმეებს პრობლემებს არ შეუქმნის: არასათანადო მოპყრობა დანაშაულს წარმოადგენდა და წარმოადგენს, მიმდინარე გამოძიების პროცესში კვალიფიკაციის შეცვლა დასაშვებია, ასევე, შესაძლებელია 332-333-ე და 335-ე მუხლების ბრალდების შეცვლა 144[1]-144[3] მუხლებით წინასასამართლო სხდომამდე,[105] რაც შეეხება სასამართლოს განხილვაში არსებულ და დასრულებულ საქმეებს, იმის გამო, რომ არ ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია, პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდებიან ბრალდებულები, თუმცა ბრალდების არსებითი განხილვის ეტაპზე დამძიმების დაუშვებლობის გამო, წაყენებული ბრალდების სანქციის ფარგლებში უნდა იყოს სასჯელი განსაზღვრული, მსჯავრდებულებისთვის კი განაჩენის გადასინჯვას არ გამოიწვევს, რადგან ცვლილება არ გააუქმებს ან შეამსუბუქებს პასუხისმგებლობას.[106]

---

[105] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 219, ნაწ. 1 და მუხ.,250, ნაწ. 1.
[106] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 310, ქვეპ. „ვ“.

საგულისხმოა, რომ მოქმედი რეგულაციის პირობებში საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არაერთი ხარვეზი ფიქსირდება, რასაც სწორედ საკანონმდებლო ნაკლოვანება განაპირობებს და დეტალურად განვიხილავთ.

## არსებული პრაქტიკის ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, შესწავლილი 68 საქმიდან 50 საქმეზე ბრალდებული იყო სახელმწიფოს წარმომადგენელი 140 პირი, ხოლო 18 საქმეზე 41 კერძო პირი.

კერძო პირთა მიმართ საერთო სასამართლოების მიერ განხილული 18 სისხლის სამართლის საქმიდან:

ბრალდება წარდგენილი იყო:

- 12 საქმეზე - სსკ-ის $144^1$ მუხლით
- 6 საქმეზე - $144^3$ მუხლით
- 7 შემთხვევა იყო ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედება.[107]

გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა:

- $144^1$ მუხლით - 1 საქმეზე (1 პირის მიმართ)
- $144^3$ – 2 საქმეზე[108] (3 პირის მიმართ)

გამამტყუნებელი განაჩენებით, დამნაშავედ იქნა ცნობილი:

- სსკ-ის $144^1$ მუხლით - 7 საქმეზე 26 პირი
- სსკ-ის $144^3$ მუხლით - 8 საქმეზე 10 პირი

4 საქმეზე სასამართლოებმა შეცვალეს კვალიფიკაცია

- სსკ-ის $144^1$ მუხლიდან 3 საქმეზე - სსკ-ის $144^3$ მუხლით,
- 1 საქმეზე - სსკ-ის 120-ე მუხლით

სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ განხილული 50 საქმიდან:

22 საქმეზე ბრალდება წარდგენილი იყო სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილებით, საიდანაც:

- 17 საქმეზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი 29 პირის მიმართ
- გამართლდა 5 საქმეზე 6 პირი

---

[107] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. $11^1$-$144^1$-$144^3$ .

[108] ერთ საქმეზე $144^3$ მუხლით წარდგენილ ბრალდებაში 3 ბრალდებულიდან 2 გამართლდა, 1 დამნაშავედ იქნა ცნობილი.

- 1 საქმეზე პირის 3 მიმართ ქმედება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 160-ე მუხლზე.

28 საქმეზე (რამდენიმე ბრალდებული/ეპიზოდი) ბრალდება წარდგენილი იყო:

- სსკ-ის $144^1$-$144^3$ მუხლებით – 18 საქმეზე
- სსკ-ის $144^1$-$144^3$ და 332-332-ე მუხლების მე-3 ნაწილების ერთობლიობით 10 საქმეზე

გამოტანილი განაჩენები:

- გამამტყუნებელი განაჩენი - 14 საქმეზე
- გამამართლებელი - 8 საქმეზე
- ნაწილობრივ გამამართლებელი/შეცვლილი კვალიფიკაცია - 6 საქმეზე

ხსენებული 28 საქმიდან:

- ✓ სსკ-ის $144^1$ მუხლით დამნაშავედ ცნობილია - 9 პირი, უდანაშაულოდ - 7 პირი
- ✓ სსკ-ის $144^3$ მუხლით დამნაშავედ ცნობილია - 41 პირი, უდანაშაულოდ - 9 პირი
- ✓ სსკ-ის $144^1$ და $144^3$ მუხლებით დამნაშავედ ცნობილია 6 პირი,
- ✓ დამნაშავედ ცნობილია 2 პირი სსკ-ის $144^3$ და 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით
- ✓ გამართლდა: 3 პირი სსკ-ის $144^1$ და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 5 პირი სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით და $144^3$ მუხლით, 8 პირი - სსკ-ის $144^1$ და $144^3$ მუხლებით, 1 პირი - 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $144^1$ და $144^3$ მუხლებით წარდგენილ ბრალდებებში.
- ✓ 4 პირის ქმედება სსკ-ის $144^1$ მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის $144^3$ მუხლზე, 2 პირის მიმართ სსკ-ის $144^3$ მუხლიდან 376-ე მუხლზე, 1 პირის სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი გადაკვალიფიცირდა: 1 პირის მიმართ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 2 პირის მიმართ - სსკ-ის 125-ე მუხლზე, 1 პირის მიმართ - სსკ-ის 126-ე მუხლზე.

არასათანადო მოპყრობის ფაქტები აუცილებლად მოითხოვს შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების გზით მართლმსაჯულების განხორციელებას და ადეკვატური სასჯელის დაკისრებას. არასათანადო მოპყრობის ამკრძალავი კანონმდებლობის პრევენციული შედეგი ვერ მიიღწევა დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაციის გარეშე, რაც მოითხოვს მოცემულ ფაქტებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას სპეციალური ნორმებით.

### სამოხელეო დანაშაულის ზოგადი (სსკ-ის 332-333) ნორმების გამოყენება

ძალადობით, იარაღის გამოყენებითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების დანაშაულებისთვის მსჯავრდებულები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების

ხელმძღვანელები და თანამშრომლები, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი. შესწავლილი საქმეებიდან მხოლოდ 8 შემთხვევაში ჩაიდინეს მსჯავრდებულებმა დანაშაული ინდივიდუალურად, დანარჩენ შემთხვევაში ჯგუფის მიერ იქნა განხორციელებული. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის ადგილებს, ქმედებები განხორციელდა როგორც კერძო საკუთრებაში (ბინები), საჯარო სივრცეში (ქუჩა, სასაფლაო, საარჩევნო უბანი), ასევე, დახურული ტიპის დაწესებულებებში (პენიტენციური დაწესებულება, პოლიციის განყოფილება, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, სამხედრო დანაყოფი).

გამოტანილი განაჩენების შესწავლით დასტურდება, რომ ქმედებები, რისთვისაც მოხელეებს მსჯავრი სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლების მე-3 ნაწილებით დაედოთ, არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს წარმოადგენდა და მათი კვალიფიკაცია შესაძლებელი იყო სპეციალური მუხლებით. სახელმწიფოს ვალდებულებაა, კვალიფიკაციის განსაზღვრისას არასათანადო მოპყრობის ამკრძალავი სპეციალური კანონმდებლობა გამოიყენოს.

გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად (სსკ-ის 333-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) შეფასდა შემდეგი ქმედებები, როცა დაზარალებულებმა პოლიციელების მიერ ფიზიკური ძალადობის და იარაღის გამოყენების შედეგად მსუბუქი დაზიანებები მიიღეს:

- პოლიციელმა საარჩევნო უბანზე მყოფ დამკვირვებელს ძალადობით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა;
- პოლიციელი განყოფილებაში ეკამათა ადვოკატს, ძალადობით გადაამეტა უფლებამოსილებას;
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაცვის პოლიციელმა მოქალაქესთან სიტყვიერი კამათის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებს პოლიციისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, მასზე შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ასფალტის მიმართულებით 2-ჯერ გაისროლა (საჭიროების არარსებობის პირობებში);

ვფიქრობთ, ისეთ შემთხვევებში, როცა სამართალდამცავებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოქალაქეების მიმართ ძალადობრივი ქმედებები განახორციელეს, კვალიფიკაცია უნდა წარმართულიყო არა სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით, არამედ არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციით. ზემოხსენებულ საქმეებში მინიმუმ დამამცირებელი მოპყრობით კვალიფიკაციის საფუძველი არსებობდა.

სასამართლომ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (უფლებამოსილების გადამეტება ძალადობითა და ღირსების შეურაცხყოფით), რადგან ბრალდებულმა სხვა თანამშრომლებთან ერთად პატიმარს მოუწოდა დარჩენილიყო აბაზანის გასახდელში, რის შემდეგაც უბრძანა ბრალად შერაცხული ქმედების აღიარება, უარის მიღების შემდეგ ე.წ.

რაცია ჩაარტყა ცხვირში, ბრალდებული წაიქცა და სხვა თანამშრომელთან ერთად 10 წუთის განმავლობაში გამეტებით ცემდა თავის, ტანის და კიდურების არეში, აგინებდა, ამცირებდა, რის გამოც ბრალდებული განიცდიდა ძლიერ და აუტანელ ტკივილს. აღნიშნულის შემდეგ პატიმარს დაემუქრნენ, არავისთვის მოეყოლა ცემის ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე მოელოდა მის თანასაკნელებს. თანამშრომლებმა ბრალდებულს საკანში კვლავ ჰკითხეს აღიარებდა თუ არა დანაშაულს, ხოლო უარის მიღების შემდეგ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და რამდენიმეჯერ გაარტყეს ხელი სახეში. მოცემული ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდა სასჯელაღსრულების თანამშრომლების მიერ პატიმრის მიმართ განხორციელებული ქმედების არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად შეფასების შესაძლებლობას, თუმცა ბრალდება და მსჯავრდება სსკ-ის 144[3] მუხლის ნაცვლად სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლით მოხდა. ამგვარი კვალიფიკაცია შეუსაბამოა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური უფლებასთან, იწვევს უფლებათა დარღვევის მძიმე ფაქტებზე შედარებით მსუბუქ პასუხისმგებლობას.

სასამართლოების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების საკითხზე განვითარებულია ერთგვაროვანი მსჯელობა კერძოდ, სსკ-ის 333-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის დამნაშავის მოქმედება დაკავშირებული უნდა იყოს მის სამსახურებრივ მდგომარეობასთან, მისგან გამომდინარეობდეს და ჩადენილი უნდა იყოს სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში და მასთან დაკავშირებით. ამასთან, სავალდებულოა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, რომელიც მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს მოხელის მოქმედებასთან, რომელიც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს. ეს იდენტური განმარტება გამოიყენეს სასამართლოებმა განსხვავებული შედეგის რამდენიმე საქმეში:

- პოლიციელის მიერ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არამედ პირადი მიზნით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლების შედეგად მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე გამამართლებელი განაჩენი მტკიცებულებათა არარსებობის საფუძველზე იქნა მიღებული, თუმცა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებული კონკრეტულ შემთხვევაში არ ახორციელებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას;
- ანალოგიური პოზიცია ჰქონდა სასამართლოს სხვა საქმეში, სადაც შსს-ს თანამშრომლები, რომლებმაც პირადი მოტივით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს მოქალაქეებს და სასაფლაოს ტერიტორიაზე არაადამიანურად და დამამცირებლად მოექცნენ, დამნაშავედ ცნო თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაში, ხოლო ძალადობით და ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებაში გაამართლა. სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალდებულთა ქმედებები განხორციელდა არა უშუალოდ მათი სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების და საქმიანობის პირობებში (მიუხედავად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისა), არამედ

არაოფიციალურ, არასამსახურებრივ გარემოში. ხსენებულ 2 საქმეში განვითარებული მსჯელობა შესაბამისობაშია სსკ-ის 333-ე მუხლის დეფინიციასთან. ამასთან, ეს უკანასკნელი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო როგორც არასათანადო მოპყრობა ჩადენილი მოხელის მიერ და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მიგვაჩნია, რომ როდესაც მოხელე ძალადობს პირის მიმართ, შეურაცხყოფს მის ღირსებას ან/და იარაღს იყენებს მის წინააღმდეგ, ეს წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას და სპეციალური მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ტანჯვის ინტენსივობის და ხარისხის და მიზნის შესაბამისად;

- სასამართლომ სსკ-ის 333-ე მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტით დამნაშავედ ცნო შსს-ს მაღალჩინოსნები, რომლებმაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის ოჯახის წევრის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების მოტივით, უწყების ადმინისტრაციულ შენობაში მიიყვანეს და სკამზე ხელებშეკრულ, იატაკზე წაქცეულ მდგომარეობაში, სამ ეტაპად (თითოეული 10 წუთი) ცემეს შსს 3 თანამშრომელი, რომლებსაც ცემისგან ჰქონდათ შეშუპება და დალურჯებები, ერთ-ერთ მათგანს 10 წუთის მანძილზე ცემდნენ ნეკნებისა და სახის არეში ფეხებით, ამასთან, ემუქრებოდნენ ნარკოტიკის ჩადებით. სასამართლომ განმარტა, რომ ქმედების მოტივი და მიზანი არ წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს და ის შეიძლება იყოს პირადიც. სწორედ მოხელე სცილდება აშკარად მისი უფლებამოსილების ფარგლებს და იწვევს მოქალაქეთა, საზოგადოების ან სახელმწიფო ინტერესების აშკარა დარღვევას. მოცემულ საქმეში ფაქტობრივი გარემოებები (უწყების შენობაში მოპყრობა პირადი მიზნის მიუხედავად) გახდა ქმედების სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად კვალიფიკაციის საფუძველი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში დადგენილი მოპყრობა - ფიზიკური ძალადობის ეპიზოდები, სკამზე დაბმა და სიტყვიერი შეურაცხყოფა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს. შესაბამისად, ბრალდება და შემდეგ მსჯავრდება სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლით არასწორი კვალიფიკაციის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ
- აღნიშნული დასაბუთების საპირისპიროდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ სამხედრო მეთაურების მიერ ჯარისკაცების ცემისთვის სსკ-ის 333-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოცემული მუხლი სპეციალური ნორმაა, რომლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის შეიძლება დაისაჯოს მოხელე, მაგრამ ნებისმიერი გადაცდომისთვის ამ მუხლით არ უნდა მოხდეს კვალიფიკაცია. პირის ცემა თავისთავად წარმოადგენს ძალადობრივ, ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. სსკ-ის 333-ე მუხლის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა ძალადობა ანუ თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების არსებით გადამეტებას აქვს ადგილი, რომელსაც თან სდევს ძალადობა, ცალსახად წარმოადგენს ხსენებულ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, მაგრამ როდესაც დაუსაბუთებელია, კონკრეტულად რაში გამოიხატა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სახეზე

> გვაქვს ცემა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 125-ე მუხლით. მითითებულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, 333-ე მუხლი ზოგადი ნორმაა და იგი მაშინ გამოიყენება, როდესაც კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგისათვის კონკრეტული ნორმა განსაზღვრული არ არის სპეციალური ნორმით. თუ დაზარალებულების დაზიანებებს მოჰყვებოდა უფრო მძიმე შედეგი, რაც სამართლებრივ შესაბამისობაში ვერ მოვიდოდა 333-ე მუხლის დამამძიმებელ მაკვალიფიცირებელ ნიშნებთან, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდებოდა დანაშაულთა ერთობლიობით, დამდგარი შედეგის მიხედვით. ამავე საქმეში, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მსჯავრდებულთა მხრიდან სამხედრო მოსამსახურეების ცემა განხორციელდა დაუდგენელი მოტივით, მიუხედავად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისა, ცემა განხორციელდა არა უშუალოდ მათი სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებისას და საქმიანობის პირობებში, არამედ არაოფიციალურ, არასამსახურებრივ გარემოში - ბრიგადის ეზოში, რამაც პირადი ანგარიშსწორების სახე მიიღო, ეს გამორიცხავს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას და გადააკვალიფიცირა სსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ" ქვეპუნქტზე. მიგვაჩნია, რომ ცემა ან სხვაგვარი ძალადობა სამხედრო მეთაურის მხრიდან დაქვემდებარებული პირის, სამართალდამცველის მხრიდან მოქალაქეების მიმართ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობას ვერ გავიზიარებთ.

ამდენად, ბრალდების და სასამართლო ორგანოების მიერ სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით კვალიფიცირებული ქმედებები უკავშირდება მოხელის სამსახურებრივ მდგომარეობას და ჩადენილია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. საგულისხმოა, რომ ძალადობა, პირის ღირსების შეურაცხყოფა ყოველთვის სცილდება მოხელის უფლებამოსილებას. რაც შეეხება ძალის არაპროპორციულ გამოყენებას, ასეთი შემთხვევებიც არასათანადო მოპყრობას წარმოადგენს. შესაბამისად, სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით დაკვალიფიცირებული ქმედებებს მოიცავს სსკ-ის $144^1$-$144^3$ მუხლების ქმედების შემადგენლობები. აღნიშნულს ადასტურებს შესწავლილი საქმეებიც, სადაც მოხელეთა მხრიდან ჩადენილი ქმედებები მათი არასათანადო მოპყრობით კვალიფიკაციის საფუძველს იძლევა, თუმცა რატომღაც უფრო მსუბუქი, სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით მოხდა ბრალდება და მსჯავრდება. საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლების და საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად, ცალკე არსებობს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მაკრიმინალიზებელი ნორმები. სპეციალური მუხლების არსებობა მიზნად ისახავს სახელმწიფოს წარმომადგენელთა პასუხისმგებლობა არასათანადო მოპყრობისთვის სწორედ ამ მუხლების მიხედვით დადგეს. შესაბამისად, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე მოხელეების პასუხისმგებლობა მხოლოდ შესაბამისი სპეციალური მუხლებით უნდა მოხდეს და არა სხვა ნორმის საფუძველზე.

არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმების გამოუყენებლობა ამგვარი კანონმდებლობის პრევენციულ ეფექტს ვერ გამოიწვევს. ამიტომ სამოხელეო დანაშაულის იმგვარი ზოგადი ნორმების არსებობა კანონმდებლობაში, რომელსაც ისედაც მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლები, ზედმეტია და მხოლოდ არაერთგვაროვანი პრაქტიკის საფუძველს ქმნის.

### სპეციალური (სსკ-ის $144^1$-$144^3$) ნორმების გამოყენება

აპარატის მიერ შესწავლილი სსკ-ის $144^1$-$144^3$ მუხლების ბრალდებით განხილული განაჩენების მიხედვით, წამებად, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად კვალიფიცირდება როგორც კერძო პირების, ასევე, საჯარო მოხელეების (პოლიციელების, პენიტენციური სისტემის, პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი პირებისა და თანამშრომლების, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების, სამხედრო პირების, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების, პოლიტიკური თანამდებობის პირების) მიერ ჩადენილი ქმედებები. როგორც უკვე აღინიშნა, საქმეების სრულ უმრავლესობაში (3 საქმის გარდა) მოხელეთა მიერ არასათანადო მოპყრობის ჩადენის სავარაუდო დრო ადრინდელი პერიოდისაა (2006-2012 წწ.), ხოლო ბოლო წლებში (2014-2018 წწ.) განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსრულებლები - კერძო ფიზიკური პირები არიან.

დანაშაულის ადგილს წარმოადგენდა როგორც სახელმწიფო უწყებების შენობები (პოლიცია, პენიტენციური დაწესებულება, სამხედრო ნაწილი), ისე კერძო პირთა საკუთრებაში არსებული მანქანები და საცხოვრებელი სახლები, ასევე, საჯარო სივრცე. 12 საქმეში დაფიქსირდა არასათანადო მოპყრობის ინდივიდუალურად განხორციელება, სხვა შემთხვევებში - ჩადენილი იქნა ჯგუფურად, როდესაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა რაოდენობა 2-8 პირს შეადგენდა.

არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციისას, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აფასებს მსხვერპლისადმი მოპყრობის ხასიათს, ინტენსივობასა და ხანგრძლივობას. გარდა ამისა, სასამართლოები მიუთითებენ მოპყრობის ხერხზე, ფიზიკურ შედეგზე, მსხვერპლის ასაკზე. მნიშვნელოვანია სისასტიკის ზღვრის დადგენა. სასამართლოების განმარტებით, სისასტიკე შეფასებითი ცნებაა და დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე.

სასამართლოს განმარტებით, წამება, ასევე, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა თავისი შინაარსით შეიძლება რამდენიმე კომპონენტს მოიცავდეს და ქმედებაში თანამონაწილე პირთა მხრიდან ცალკეული ქმედებების განხორციელება, მაგალითად: ცემა, იძულება, რაც ცალკე აღებული შეიძლება არ იძლეოდეს წამების ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აღქმას, მაგრამ კომპლექსურად მთლიანობაში იძლევა მოცემული დანაშაულის შემადგენლობას.

## წამება

წამება პირდაპირი განზრახვითა და მიზნით დეტერმინირებულ დელიქტს წარმოადგენს. სასამართლოები სწორად ცდილობენ შესაბამისი მიზნის დადგენას და დადასტურებას. განაჩენებში გვხვდება ამა თუ იმ ნამდვილი თუ სავარაუდო ქმედების, მათ შორის, დანაშაულის, პირადი ცხოვრების გამო დასჯის, თანამშრომლობის და დანაშაულის, თანამონაწილეების აღიარების მიზნით ჩადენილი ქმედებები. დაშინებისა და იძულების მიზნით (დასჯასთან ერთად) წამებას პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმართ ჰქონდა ადგილი, რომ შეესრულებინათ ან უარი ეთქვათ ისეთი ქმედებისგან, რომლის განხორციელებაც მათ კანონიერ უფლებას წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ არასათანადო მოპყრობის შედეგს. საქმეების უმრავლესობაში მსხვერპლის მიმართ მოპყრობა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს იწვევდა, თუმცა ბევრ განაჩენში ძლიერ ფიზიკურ ტკივილთან ერთად გვხვდება მითითება ფსიქიკური ან მორალური ტანჯვის გამოწვევაზე. ამგვარი ტკივილის ან ტანჯვის დადასტურების გარეშე რამდენიმე შემთხვევაში არასათანადო მოპყრობის ზემოხსენებული მიზნებით განხორციელების შემთხვევაშიც ქმედება არა წამებად, არამედ არაადამიანურ მოპყრობად შეფასდა.

სასამართლოების განმარტებით, ფიზიკური ტკივილი გულისხმობს ხანგრძლივი ფიზიკური ტკივილით გამოწვეულ წუხილს, სამედიცინო დახმარების საჭიროებას, ხოლო ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვაში იგულისხმება ქმედება, რაც იწვევს ნერვული სისტემის მოშლას, როცა ადამიანი კარგავს სულიერ სიმშვიდეს, ემართება ნერვული ავადმყოფობა, უჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი, მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმას განიცდის, სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება, ერიდება სახლიდან გასვლას და საზოგადოებაში გამოჩენას. ასევე, სასამართლოები ყურადღებას ამახვილებენ მოპყრობის დროს ფსიქოლოგიურ სტრესზე - მოსალოდნელი გაუსაძლისი ტკივილის შიშზე, მსხვერპლის ფსიქო-ემოციურ მდომარეობაზე, წამების პროცესში გაუსაძლისი ტკივლის განცდაზე.

სასამართლომ ქმედება[109] შეაფასა წამებად და აღნიშნა, რომ წამებაში მონაწილე სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია ინდივიდუალურად არ იძლეოდეს წამების შემადგენლობას, ქმედების თითოეული მონაწილე მის მიერ ჩადენილ ქმედებას არ აფასებდეს, როგორც წამებას, მაგრამ აღნიშნულ შეფასებაში დიდი წილი მოდის სწორედ დაზარალებულის პერცეფციაზე (აღქმა, შეგნება, ჩაწვდომა), რომელიც კომპლექსურად აფასებს ყველა მონაწილის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ქმედებას ერთობლიობაში, სწორედ დაზარალებულის მიერ ხდება რეალური სინამდვილის ასახვა ფსიქიკაში, როგორც ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური/მორალური ტანჯვა. სასამართლოს მხრიდან მსგავსი შეფასება ცალსახად სწორია, ვინაიდან ქმედების წამებად

---

[109] მსჯავრდებულთა დაწესებულების ეზოში ავტომატის კონდახით ცემა, სპეცრაზმის მიერ ცემა, თრევით „ვახტაზე" გაყვანა, კედელთან დაყენება, ტანისამოსის გახდა, ცემა, კვლავ ძირს დაყრა, შიშვლების ე.წ. ვარონკაში შეყრა, 3-4 წუთის შემდეგ კვლავ ჩამოყრა და უკვე ჩაცმულების კვლავ გახდა, 15-20 წუთი შიშვლების თოვლჭყაპში გაჩერება.

დაკვალიფიცირებისთვის სხვა გარემოებებთან ერთად ძირითადი აქცენტი გაკეთებული არის მსხვერპლის მიერ მის მიმართ განხორციელებული ქმედების აღქმაზე, მის მიერ განცდილ ტანჯვაზე.

სასამართლოების პრაქტიკის თანახმად, დაზიანების ხარისხის განსაზღვრა არ წარმოადგენს სსკ-ის 144[1] მუხლით გათვალისწინებულ სავალდებულო ასპექტს, შეიძლება საერთოდ არ მიადგეს მსხვერპლს ჯანმრთელობის დაზიანება კონკრეტული ხარისხით. წამებად შეფასებისთვის სავალდებულო და აუცილებელია მსხვერპლმა განიცადოს ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ფსიქიკური და მორალური ტანჯვა, რის დადგენას ავტომატურად და თავისთავად არ განაპირობებს ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი. სასამართლო ქმედების მიზანთან ერთად ყურადღებას აქცევს სისასტიკის ხარისხს. წამებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც (გამოხატული სისხლნაჟღენთები, სისხლჩაქცევები, ნაჭდევები, თავის ტვინის შერყევა), ასევე, ნაკლებად მძიმე დაზიანებაც (გამოხატული ქალა ტვინის დახურული ტრავმა, ყბის მოტეხილობა, მრავლობითი ჰემატომები, დაჟეჟილობა). ასეთ შემთხვევებში დამატებითი კვალიფიკაცია არ გვხვდება. აღნიშნული პოზიცია სწორია, რადგან წამების შედეგად მიყენებული მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებებს ამგვარი მოპყრობა მოიცავს.

აღნიშნულის საპირისპიროდ, დანაშაულთა ერთობლიობით სსკ-ის 144[1] მუხლთან ერთად დამატებით 117-ე მუხლითაც დაკვალიფიცირდა შემთხვევები, როცა წამებამ ჯანმრთელების მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო (გულმკერდის დახურული ტრავმა, ნეკნის მოტეხილობა, პრევმოთორაქსი, დაჟეჟილი ჭრილობები კეფის მიდამოში, ნაფლეთი ჭრილობა მუცლის არეში, 36 ნაკვეთი ჭრილობა ორივე ზედა კიდურზე და შუბლზე) დაზიანება ან სახის წარუშლელი დამახინჯება გამოიწვია (ყურის მოჭრა). საგულისხმოა, რომ სსკ-ის 144[1] მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებაა წამება, რამაც დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. შესაბამისად, საჭიროა არა სსკ-ის 117-ე მუხლით დამატებით კვალიფიკაცია, არამედ წამების დამამძიმებელი გარემოებით, რადგან სხვა მძიმე შედეგში მოიაზრება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. აღნიშნული გამომდინარეობს ნორმის დისპოზიციიდან და ამ მაკვალიფიცირებელი გარემოებისთვის დაწესებული მაღალი სანქციაც (12-20 წლამდე ან უვადო თავისუფლებია აღკვეთა) ადასტურებს.

ერთმანეთისგან განსხვავებული კვალიფიკაცია დაფიქსირდა წამების გაუპატიურების ფორმით განხორციელების შემთხვევებში: ერთ საქმეში ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 144[1] მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (წამება ჩადენილი სექსუალური ძალადობის გამოყენებით), სხვა საქმეში დანაშაულთა ერთობლიობით: წამება (სსკ-ის 144[1] მუხლი) და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (სსკ-138-ე მუხლი, 2013 წლამდე მოქმედი რედაქცია). საქმე ისაა, რომ მეორე საქმეში ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დროისთვის სსკ-ის 144[1] მუხლი არ ითვალისწინებდა ხსენებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას. ხოლო 2016 წლის 1 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ მოქმედი რედაქცია სექსუალური ძალადობით ჩადენილი

წამებისთვის სასჯელის სახედ 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

შესწავლილ საქმეებში არაერთი ქმედება ნამდვილად აღწევდა სისასტიკის ზღვარს მათი წამებად შეფასებისთვის, რის გამოც მისაღებია პროკურატურის და სასამართლოების მიდგომა. შესაბამისად, წარმოგიდგენთ სასამართლოების მიერ გამამტყუნებელ განაჩენებში წამებად დაკვალიფიცირებული აღიარების ან დასჯის მიზნით ჩადენილი ქმედებების აღწერას:

- მსხვერპლის და ბრალდებულის მეუღლის ურთიერთობის აღიარების და დასჯის მიზნით დაახლოებით 3 საათის განმავლობაში ერთობლიობაში ჩადენილი: დარტყმა სახეში, ძალის გამოყენებით ძირს დაგდება, ხელ-ფეხის თოკებით შეკვრა, რკინის ჯოხით სხეულის სხვადასხვა ნაწილში დაზიანებების მიყენება, მუშტების დარტყმა სახეში, გონების დაკარგვისას - წყლის დასხმა და ლურსმნის ტერფში ჩარტყმა;
- ერთ-ერთი დაზარალებულის ნივთის ქურდობის აღიარების და დასჯის მიზნით მანქანაში მყოფი მსხვერპლის (თავი ჩააყოფინეს სავარძლებს შორის, ხელები ზურგს უკან გაუკავეს) სისტემატური ცემა ზურგის და თავის არეში. სახლში მიყვანის შემდეგ - დაახლოებით 1 საათის განმავლობაში ჯგუფურად ცემა, თავზე ტომარის ჩამოცმა, ჰაერის მიწოდების შეწყვეტა, ყელზე პირსახოცის ძლიერად მოჭერა და დახრჩობის მუქარა, დანით სახის დასერვა, იატაკზე წაქცეული, ხელებგადაგრეხილი და შებოჭილი მსხვერპლისთვის ცივი იარაღის გამოყენებით ყურის ნაწილის მოჭრა;
- არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის მეუღლის მიერ მისი სხვა პირთან გასაუბრების გამო დასჯის და აღიარების მიღების მიზნით სახეში ხელის 2-ჯერ, მკვრივი ბლაგვი საგნის სხეულზე დარტყმა და პოლიეთილენის ცეცხლმოკიდებული პარკის ნაღვენთების დაწვეთება ხელზე და ფეხზე 10 წუთის განმავლობაში;
- ბრალდებულის მეუღლის მსხვერპლთან საცხოვრებლად გადასვლის გამო დასჯის მიზნით თავში ქვის რამდენჯერმე ჩარტყმა, სხეულის სხვადასხვა ადგილებში ჯგუფურად ფეხებისა და ხელის დარტყმით სასტიკი ცემა, თოკით ხელ-ფეხშეკრული მსხვერპლის ცემის გაგრძელება, ასევე, დანის გამოყენებით სხეულის სხვადასხვა ადგილზე მრავლობითი ჭრილობების მიყენება, ხელ-ფეხშეკრული დაზარალებულის მანქანამდე მითრევა და საბარგულში ჩაგდება, სოფლის ტერიტორიაზე კვლავ ჯგუფურად ცემის, თავში რამდენჯერმე ქვის დარტყმის, დანის გამოყენებით ჭრილობების მიყენების შემდეგ, ტყეში ორმოში ჩაგდება და ხელფეხშეკრულ მდგომარეობაში დატოვება;
- ერთ-ერთი ბრალდებულის მეუღლისა და სხვა ბრალდებულების ნათესავთან დაზარალებულის ურთიერთობის გამო დასჯის მიზნით დაზარალებულისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სოფელში, საჯაროდ, მრავალი ადამიანის

თვალწინ სასტიკი სცემა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის გაუპატიურება, ამ ქმედებების ვიდეო გადაღება და გავრცელება;

- ციხის დირექტორის მოადგილის და რეჟიმის უფროსის მიერ პირთა ჯგუფთან ერთად მსჯავრდებულთა მიმართ მოპყრობის არაკანონიერი მეთოდების შემუშავება, მსჯავრდებულთა დათრგუნვის, დაშინების, დემორალიზების, დასჯის მიზნით ცემა-წამების, დამცირებისა და იძულების ორგანიზება, უშუალოდ განხორციელება სხვა თანამშრომლებთან ერთად;
- პოლიციელების მიერ ინფორმაციის მიღების მიზნით უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილ და ტყეში მიწურში განთავსებული პირის მიმართ ელექტროშოკის გამოყენება, დარტყმა, გაუპატიურების მუქარა, სხვა მოქალაქისთვის დაკავებულთან სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების განხორციელების ბრძანება და აღსრულება;
- გაშიშვლებული პატიმრების ჯგუფური ცემა ხელკეტებით, ფეხებით, ხელებით, დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში, პატიმრის ხელბორკილით დაბმა გისოსზე, ძალმომრეობითი სექსუალური ხასიათის მოქმედებები;
- მსხვერპლისთვის ინფორმაციის მიღების მიზნით ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სახისა და სხეულის არეში, დაზიანებების მიყენება ცეცხლმოკიდებული პოლიეთილენის პარკის ნაღვენთების დაწვეთება მუცლის და გულმკერდის არეში, წყალში თავის ჩაყოფით დახრჩობის ზღვარზე მისვლა, ბლაგვი საგნებით კიდურებზე მრავალჯერადი დარტყმების მიყენება, ბასრი საგნის გამოყენებით მარცხენა ფეხის არეში ნაკვეთი ჭრილობის მიყენება;
- პატიმრის ცემა არაერთხელ, ისე, რომ ერთ-ერთი ცემის შემდეგ ორი კვირის მანძილზე უჭირდა გადაადგილება, საკვების მიღება, საუბარი. სხვა პატიმრის ცემა ხელებით, შემდეგ კი ხელჯოხის გამოყენებით თითების დამტვრევა;
- სხვა მამაკაცთან სქესობრივი კავშირის აღიარების მიზნით, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის რამდენიმეჯერ მიყენება, ფეხზე ორ ადგილას მოკიდებული სიგარეტის კანზე ჩაქრობა და სხეულის სხვადასხვა ადგილებში კბენა, რითაც დაზარალებულს მიადგა ფსიქიკური, მორალური ტანჯვა;
- ცემა რამდენიმე საათის განმავლობაში გარკვეული ინტერვალებით, რაც ძლიერ ფიზიკურ ტკივილს იწვევდა.

### არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

არაერთ საქმეში სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დანაშაულის ქმედების ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს დამცირებას, იძულებას, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახველ მდგომარეობაში ჩაყენებას, ანუ ისეთი ქმედების ჩადენას, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანისადმი მოპყრობის ზნეობრივ წესს, აღწევს სისასტიკის განსაზღვრულ ზღვარს, თუმცა, არა სისასტიკის იმ ხარისხის ზღვარს, რომელიც წამებად კვალიფიკაციას იწვევს. სსკ-ის 144[3] მუხლით გათვალისწინებულ იძულებას, განსხვავებით სსკ-ის 150-ე მუხლისგან, უნდა მოჰყვეს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა.

ტკივილის სიმძიმე და სულიერი ტანჯვა მნიშვნელოვანია მისი განხორციელების ინტენსივობის თვალსაზრისით. სისასტიკის დონე შესაძლებელია მიღწეული იქნეს განცდებით და დათრგუნვით, რომელიც გამოიწვია ძალის გამოყენებამ, რომელიც არ იყო აუცილებელი ან მკაცრად აუცილებელი მსხვერპლის ქცევიდან გამომდინარე. შესწავლილ საქმეებში გვხვდებოდა ფიზიკური დაზიანებები, რაც მსხვერპლებს მიაყენეს: ქალა-ტვინის ტრავმა, ტვინის შერყევა, ზოგადი დაჟეჟილობა, სისხლჩაქცევა თვალბუდის არეში.

ფსიქიკური ან სულიერი ტანჯვა გამოწვეულია მოპყრობისგან. დამამცირებელი ელემენტი დაკავშირებულია კონკრეტულ გრძნობასთან, რომელიც უკავშირდება მოპყრობის, დაკნინებისა და დამცირების შედეგს. ქმედება მიჩნეულია დამამცირებლად, თუ წარმოშობს შიშს, ტანჯვას და დამცირების გრძნობას, რომელსაც შეუძლია ადამიანის დამცირება და ხელყოფილი იქნა ადამიანის ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობის უნარი. ქმედება დამამცირებელ მოპყრობად ფასდება მაშინაც, როცა მსხვერპლი დამცირებულია საკუთარ თვალში, თუნდაც სხვის თვალში არ იყოს დამცირებული. დაზარალებულის განმარტება, რომ არის შეშინებული, რცხვენია გარეთ გასვლის და ანთებულ შუქზე იძინებს, ჩაითვალა, რომ მოპყრობამ გამოიწვია ძლიერი ფსიქიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა. გარდა ამისა, დაზიანება იწვევს ფსიქიკურ ტანჯვას დასახიჩრების მომენტში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მკურნალობის პერიოდშიც. პირის მიერ თავისი არასრულფასოვნების გაცნობიერება, რომ ვერ ეწევა ჩვეულ ცხოვრებას, იწვევს ფსიქიკურ ტანჯვას. ზემოაღნიშნული განცდები კი როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ტანჯვა წარმოადგენს მორალურ ზიანს, რასაც დაზარალებული განიცდის. მაგ. არასრულწლოვანი მსხვერპლები მორჩილად ასრულებდნენ დამნაშავის მითითებას მათ დასჯასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მსხვერპლი ისეთი დათრგუნული და შეშინებული იყო, რომ თითის მოჭრის დროს ხმა არ ამოუღია. დაზარალებულის ტანჯვად შეაფასა სასამართლომ იმის გამო, რომ მას ბავშვები დასცინოდნენ.

სხვა საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულთა მიერ ჯგუფურად განხორციელებული ქმედებები - რამდენიმე პირის მიერ დაზარალებულთა ერთსაათიანი უმოწყალოდ ცემა, მუხლებზე დაყენება ბოდიშის მოხდის მიზნით, კეფაში ხელის დარტყმა და ამორტყმა, ფურთხება, გინება, ცეცხლსასროლი იარაღის დამიზნება, ხურდების თავზე დაყრა კიდევ უფრო მეტად აკნინებს ადამიანის ღირსებას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების მიზანს წარმოადგენდა დაზარალებულთა დამცირება და მათი ღირსების დაკნინება, რომ შსს-ს მაღალჩინოსანს, საკუთარი უპირატესობა და ძლევამოსილება დაემტკიცებინა დაზარალებულთათვის. განცდილ სულიერ და ფიზიკურ ტანჯვაზე, როგორც არაადამიანური ქმედების შემადგენელ ნაწილზე, ნათლად მიუთითებს დაზარალებულის განმარტება მის მიერ განცდილზე: „კაცის დამცირება და მიწასთან გასწორება თუ გინდა, მეტი აღარაფერია, ამის იქეთ არის უკვე დანის ყელში გამოსმა, გამოესვათ და ეგ იქნებოდა“. სასამართლომ მიიჩნია, რომ პიროვნების, როგორც სხვათა, ისე საკუთარ თავთან დამცირებად, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებად უნდა შეფასდეს დაზარალებულის მიმართ იმ ხარისხის ფიზიკური და

სულიერი ტანჯვის მიყენება, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა საკუთარი ვინაობაც კი უარყო და სიკვდილი ინატრა.

შესწავლილ ერთ საქმეში დანაშაულთა ერთობლიობად დაკვალიფიცირდა მსხვერპლის ცემა (სსკ-ის 126-ე მუხლი) - ხელის რამდენჯერმე დარტყმა სახეში, მუშტის დარტყმა ყურთან, რამდენჯერმე მუშტის ძლიერად ჩარტყმა თავის და ზურგის არეში, ხოლო არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად (სსკ-ის 144[3] მუხლი) შეფასდა ცემის შედეგად წაქცეული დაზარალებულის სხეულზე შარდვა, რითაც დაზარალებული დამნაშავემ ჩააყენა პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში, რის შედეგად განიცადა ძლიერი ფსიქიკური ტკივილი. ცხადია, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს აღწერილი ქმედებები, თუმცა ვფიქრობთ, რომ მოცემულ საქმეში სსკ-ის 126-ე მუხლით კვალიფიკაცია ზედმეტია. არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდა მსხვერპლის მიმართ ერთ სივრცეში, ერთ პერიოდში განხორციელებული ქმედებები, მათ შორის, დარტყმები სახის და სხეულის არეში.

სხვა საქმეში სსკ-ის 144[3] და 118-ე (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება) დაკვალიფიცირდა პირის ქმედება, რომელმაც 3 არასრულწლოვანი დასჯის და თანხის დაბრუნების მიზნით, იძულებით წაიყვანა და დააბა თოკებით ეზოში, რა დროსაც თოკის მოჭერისგან განიცდიდნენ ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილს. არასრულწლოვნები ჩააყენა არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში, ემუქრებოდა და აშინებდა მათ, თხოვდა თანხის დაბრუნებას, მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში (-2-დან -10 გრადუსამდე ტემპერატურა) 20-25 წუთი ასხამდა თავზე ცივ წყალს, აიძულებდა აეტანათ სიცივე, აყენებდა მათ ძლიერ ფსიქიკურ და ფიზიკურ ტანჯვას. ემუქრებოდა, რომ უფრო მკაცრი სასჯელის ღირსი იყვნენ, მოითხოვდა თანხის დაბრუნებას. მას შემდეგ რაც თანხის ნაწილი მიიღო, ერთ-ერთი არასრულწლოვანი წაიყვანა მაღაზიის მე-2 სართულზე და დაუწყო ფულის თხოვნა, ემუქრებოდა მუცლის არეში დანით სასიკვდილო ჭრილობის მიყენებით, დანით მოაჭრა თითის ნაწილი.

სხვა საქმეებშიც არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად დაკვალიფიცირებული ქმედებებია:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თანამშრომლებთან და სპეციალური რაზმის წევრებთან ერთად მსჯავრდებულების დამცირების, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომაროებაში ჩაყენების მიზნით, თავდაპირველად დაწესებულების დირექტორის კაბინეტში ცემა პატიმრები, შემდეგ მათი ფიზიკური შეურაცხყოფა და ცემა გაგრძელდა დერეფანშიც, რითაც მსხვერპლებს ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა მიაყენეს;
- დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის უფროსს და თანამშრომლებს შემუშავებული ჰქონდათ პატიმრებთან მოპყრობის წესები და ერთიანი მიზნით და საერთო განზრახვით პატიმრებს აყენებდნენ არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში, კერძოდ, მათ მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა პატიმრების

მიმართ ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, უკანონოდ ეზღუდებოდათ გასეირნების, ჰიგიენის დაცვის, ექიმის მომსახურების, დასვენების, მასობრივი ინფორმაციის რადიოთი მიღების უფლებები, რაც ხორციელდებოდა ძალადობრივი მეთოდებით, რომ მსხვერპლში წარმოეშვათ შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდა, საბოლოოდ კი უსიტყვო მორჩილება. თანამშრომლების შექმნილ დერეფანში  პატიმრებს სცემდნენ ხელ-ფეხით და ხელკეტებით, ამცირებდნენ  და აყენებდნენ სიტყვიერი შეურაცხყოფას და ანაწილებდნენ საკნებში; ასევე, სისტემატურად ცემდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცყოფას და ამცირებდნენ გამოგონილი მიზეზით თითქოს საკნიდან ხმაური გამოდიოდა, ექიმთან წაყვანის მოთხოვნის მიზეზით, ხმამაღლა ლოცვის, რადიოს თითქოს ხმამაღლა ჩართვის გამო, პურის რადიატორზე გაშრობის და პლასტიკური ბარათით დაჭრის, ხმამაღლა სიცილის, შვილის სურათის კარადაზე დაკიდების, შაშის თამაშის გამო. ერთი საკნის პატიმრები ცემეს, რადგან მათ თანასაკნელს გადაადგილების შეზღუდვის გამო დროულად აბანოში მისვლას ვერ ახერხებდნენ. აბანოში გააშიშვლეს პატიმრები და ცემეს; ასევე, პატიმრის ცემა საკანში და აბანოში, რამდენიმე საათით პატიმრის სკამზე დაბმა;

- სამხედრო მოსამსახურეს ფიზიკური მომზადებისას ათმეთაურებმა ფიზიკური ნორმატივების შეუსრულებლობის გამო მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, აიძულეს ჩაწოლილიყო თხრილში პირქვე, მიწით კისრამდე დაფარული ამყოფეს დაახლოებით 10-15 წუთი, შემდეგ აიძულეს შესულიყო წყლით სავსე არხში და დაეყო 20 წუთი. მომდევნო დღეს იმავე მოსამსახურეს, რომელიც გადაღლილობის გამო ვერ ასრულებდა ფიზიკურ ნორმატივებს, სერჟანტმა ხელი ჩაკიდა ქამარში და დასჯის მიზნით ათრია ბეტონის ფილებზე დაახლოებით 10 წუთი, შემდეგ აიძულა ჩაეცვა ჯავშან-ჟილეტი და აღჭურვილს ერბინა დაახლოებით 5-6 საათის განმავლობაში;
- შსს-ს თანამშრომლებმა თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს დაზარალებულს, ავტომანქანით წაიყვანეს სასაფლაოს ტერიტორიაზე წაიყვანეს, სადაც თავდაპირველად კეფაში დაარტყეს, 10-მდე პირი დაჩოქილს ცემდა, ფიზიკური ძალის გამოყენებით აიძულებდნენ მიწაზე დაწოლას, დაჩოქებას, ცემეს წიხლებით, დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით და მოხდა ჰაერში გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან. ცემას ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფურთხება, აიძულებდნენ ბოდიშის მოხდას, თავზე დააყარეს 1 და 2 ლარიანი კუპიურები;
- პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა თანამშრომლებთან ერთად მსჯავრდებულს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. დირექტორმა პატიმარს ესროლა მონეტა და უთხრა მიეტანა, რაც პატიმარმა არ შეასრულა, დირექტორმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაარტყა ხელი, შეაფურთხა, შემდეგ თანამშრომლებს უთხრა, გაეთრიათ და რაც უნდოდათ ის ექნათ. პატიმარი თავდაპირველად იმავე ოთახში ცემეს, სადაც დაკარგა გონება, დაუზიანდა ჯანმრთელობა. სასამართლომ განმარტა, რომ მონეტის გადაგდება, ბრძანება აეღო,

სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება დარტყმით და იმის ყურება როგორ ცემდნენ თანამშრომლები იძლევა სსკ-ის 144[3] მუხლის შემადგენლობას;

- გასეირნების დროს პატიმარი სხვა საკანში მყოფ პატიმრებს მიესალმა, რის გამო საკანში დააბრუნეს, რაზეც გამოხატა პროტესტი. პროტესტით განაწყენებულმა თანამშრომელმა გაიყვანა საკნიდან სამორიგეო ოთახში, სადაც სხვა თანამშრომლებთან ერთად სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ სხვა საკანში გადაიყვანა, თანამშრომლებთან ერთად გააშიშვლა, ხელბორკილი დაადო და ჩაკეტა საკანში;
- პატიმარმა უარი განაცხადა საკვების ულუფის აღებაზე, სამართლებრივი რეჟიმის უფროსმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დაემუქრა ანგარიშსწორებით, შემდეგ პატიმარმა მიიყენა თვითდაზიანება ანგარიშსწორების თავიდან აცილების მიზნით. იმავე დღეს პატიმარი დირექტორის ოთახში სამართლებრივი რეჟიმის უფროსმა და თანამშრომლებმა ცემეს თვითდაზიანების და საკვებზე უარის გამო დაახლოებით 1 საათის განმავლობაში - 3-ჯერ 20 წუთის განმავლობაში. ასევე, მუქარა, დაშინება, ოჯახის წევრთა თემით მანიპულირება. ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხარისხიც აღწევს იმ ნიშნულს, რაც გამოიწვევდა დაზარალებულის ღირსების თვითშეფასების დათრგუნვას და საფუძვლიან შიშს აღუძრავდა მუქარის რეალიზების შესახებ;
- პატიმარს ჩხრეკისას აღმოაჩნდა გახეული ზეწარი, მოხდა შელაპარაკება პატიმარს და თანამშრომელს შორის, რის გამოც აღელვების გამო პატიმარმა მიიყენა თვითდაზიანება. სამართლებრივი რეჟიმის უფროსის მითითებით თანამშრომლებმა პატიმარი შეიყვანეს სამორიგეო ოთახში, სადაც სახეში რამდენჯერმე ხელის დარტყმით მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რამაც ძლიერი ტკივილი გამოიწვია;
- პატიმარმა საკნის შეცვლის მოთხოვნით გამოაცხადა შიმშილობა. სამართლებრივი რეჟიმის უფროსმა იძულებისა და დასჯის მიზნით ახლად ნაოპერაციებ პატიმარს მიაყენა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო შემდეგ ცემა, რამაც მას ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილი მიაყენა. დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომაროების ფონზე მის მიმართ გამოყენებული ძალადობის ფორმა შეიძლება მიეკუთვნოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კატეგორიას, რამდენად გამოიწვია ძლიერი ფიზიკური ტკივილი, გააუარესა ჯანმრთელობის მდგომაროება და  შიში აღძრა, რომ დათრგუნა ფიზიკური თუ მორალური წინააღმდეგობის გაწევის უნარი, რითაც შეიძლება აიხსნას პატიმრის მიერ რკინის ნაჭრების გადაყლაპვა;
- სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა თანამშრომლებთან ერთად პატიმრები გაურკვეველი მიზეზით საკნიდან გაიყვანა ე.წ. ფუქსებში, სადაც თანამშრომლებთან ერთად უმიზეზოდ ცემა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პატიმარს;
- პატიმარმა მოითხოვა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები, ამით გაღიზიანებულ თანამშრომელს და პატიმარს შორის შელაპარაკება მოხდა, რის შემდეგ პატიმარმა

მიიყენა თვითდაზიანება, პატიმარი დატოვეს საცვლის ამარა, ჩაუტარდა ჩხრეკა, შემდეგ თანამშრომლებმა ცემეს ხელებით და ფეხებით როგორც ფეხზე მდგომს, ასევე, წაქცეულს, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფაც;

- რადიოს მაღალ ხმაზე ჩართვის გამო, შელაპარაკების გამო, თვითდაზიანების და ულუფაზე უარის თქმის გამო პატიმრების ჯგუფურად ცემა 5, 10 წუთის და 1 საათის განმავლობაში, შემდეგ 2 დღე იგი შიშველ მდგომარეობაში დატოვება;
- მსჯავრდებულმა ამოიკერა პირი და მიმართავდა სხვადასხვა სტრუქტურებს, რის გამოც დაწესებულების დირექტორის მოადგილემ სხეულის სხვადასხვა არეში ხელებისა და ფეხების გამოყენებით სასტიკად სცემა; მანვე და სხვა თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს ერთ-ერთი ბრალდებული, მეორე დღეს გამოიყვანეს საკნიდან, უბრძანეს გაშიშვლება და ცეკვა. არ დამორჩილების საფუძველზე კვლავ უმოწყალოდ სცემეს, შემოახიეს ტანსაცმელი და შიშველს ურტყამდნენ სხეულის სხვადასხვა ადგილებში. შეათრიეს კარცერში და დააგდეს სველ იატაკზე. ბრალდებულმა გადაიჭრა ვენები, რის შემდეგაც კვლავ ცემა დირექტორის მოადგილემ; იმავე პირებმა სხვა მსჯავრდებული გააშიშვლეს, უმოწყალოდ სცემეს, აიძულებდნენ ქვედა საცვლის გახდას, ბუქნების გაკეთებას, პირით კედლისკენ თავდახრილ მდგომარეობაში ყოფნას, წინსვლით და უკუსვლით გადაადგილებას;
- პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები პატიმრებს აყენებდნენ ღირსების შემლახავ, არაადამიანურ მდგომარეობაში, ამცირებდნენ. 24 დაზარალებულის მიმართ სისტემატურად ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, რაც გამოიხატებოდა ცემაში, გაშიშვლებაში, კვირაობით საკნის დაკეტვაში, თანამშრომლობის ხელწერილის იძულებით დაწერაში, მაღალ სიცხეში საკნის სარკმლის დაკეტვაში და სხვა ქმედებებში;
- ბრალდებული სხვა პირებთან ერთად საცხოვრებელ სახლში შეხვდა დაზარალებულს, რომელსაც მის არასრულწლოვან დისშვილთან სასიყვარულო ურთიერთობის გამო ანთებული სიგარეტის ნამწვავი მიაწვა ცხვირის მიდამოში, ანთებული სიგარეტი რამდენჯერმე გაარტყა სახის არეში, ძალის გამოყენებით დააყენა მუხლმოყრილ მდგომარეობაში და აიძულებდა მოეხადა ბოდიში, გააღებინა პირი და აფურთხებდა, სასქესო ორგანო მიუტანა სახესთან და ემუქრებოდა გაუპატიურებით, ლუდის სითხე მოაწმენდინა მაისურით, რაც აიძულა ჩაეცვა. ამგვარმა ქმედებამ გასტანა 2-3 საათი, რამაც დაზარალებულს მიაყენა ძლიერი ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური ტანჯვა;
- პატიმართა გაშიშვლება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცემა დაშინებისა და უსიტყვო მორჩილების მიზნით, შანტაჟით და მუქარით თანამშრომლობაზე დაყოლიება, საკნებში ნორმალური ხმით საუბრის აკრძალვა (ჩურჩულით უნდა ესაუბრათ), შეზღუდული ჰქონდათ ტელევიზორით და ტელეფონით სარგებლობა, პაემნის ხანგრძლივობა, სახალხო დამცვლის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, საჩივრის დაწერა სხვადასხვა უწყებაში, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა, გამოყავდათ საკნიდან და ცემდნენ რა დროსაც ხმამაღლა ყვირილს აიძულებდნენ

რომ სხვა პატიმრებს გაეგოთ. სისტემატურად გასეირნების წინ აიძულებდნენ გაშიშვლებას, აიძულებდნენ ჩაკუზულად გადაადგილებას და დასცინოდნენ, როცა ეტყოდნენ საკანში მყოფი პატიმრები ვალდებული იყვნენ შესულიყვნენ 1 კვ.მ. ფართობის მქონე საპირფარეშოში, ერთმანეთზე დამდგარიყვნენ, ვინც გარეთ დარჩებოდა, ცემდნენ.

ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში მსხვერპლებისადმი მოპყრობა სისასტიკის ზღვრით უთანაბრდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, თუმცა ვერ აღწევდა წამებისთვის დამახასიათებელი და აუცილებელი სისასტიკის ხარისხს.

### კვალიფიკაციის შეცვლის მოტივაცია

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 144[3] მუხლზე - არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად გადააკვალიფიცირა სსკ-ის 144[1] მუხლით - წამების ბრალდება და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ წამებად შეფასებული შემდეგი ქმედებები:

- პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა პატიმარი თანამშრომლებთან ერთად სამუშაო ოთახში ინფორმაციისა და აღიარების მიღების მიზნით ხის ჯოხით ცემა. პატიმარი 2-ჯერ აიყვანეს დირექტორის კაბინეტში, პირველად 20-25 წუთით, ფიზიკური ძალადობა არა მხოლოდ ჯოხის დარტყმით, არამედ თანამშრომლების მხრიდან წიხლებით ცემაშიც გამოიხატა;
- 2 პატიმარი (ცალ-ცალკე) ჩაიყვანეს ე.წ. ფუქსებში და საცვლების ამარა დატოვეს, ხოლო 30/40 წუთის შემდეგ შეიყვანეს სამორიგეო ოთახში, სადაც სამართლებრივი რეჟიმის უფროსმა სხვა თანამშრომლებთან ერთად 5 წუთის განმავლობაში, რადიოს მაღალ ხმაზე ჩართვის გამო დასჯის მიზნით, ფეხებით ცემეს პატიმარი, რითაც ძლიერი ფიზიკური ტკივილი მიაყენეს. მე-2 დღეს კვლავ გაიყვანეს სამორიგეო ოთახში, სადაც სამართლებრივი რეჟიმის უფროსმა სხვებთან ერთად დასჯის მიზნით ხის ჯოხით ცემეს პატიმრები;
- გასეირნების დროს სხვა საკანში მყოფ პატიმრებისთვის მისალმების გამო თანამშრომლების მიერ ნაცემი პატიმარი საკნიდან გამოიყვანა სამართლებრივი რეჟიმის უფროსმა სხვა თანამშრომლებთან ერთად შეიყვანა ე.წ. ფუქსებში, სადაც მოთხოვეს დაჩოქება, დაუმორჩილებლობის შემდეგ წაქცეულს დაუწყეს ცემა 20-25 წუთის განმავლობაში. ძალადობის შემდეგ შიშველი და შებოჭილი პატიმარი საკანში შეიყვანა სამართლებრივი რეჟიმის უფროსმა, სადაც 3 საათი დატოვა იატაკზე.

ხსენებულ ეპიზოდებთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ წამება არის განზრახი არაადამიანური მოპყრობა, რომელიც იწვევს გაუსაძლის და სასტიკ ტანჯვას. შეიძლება თუ არა ხსენებული პატიმრების მიმართ განხორციელებული ქმედებები შეფასდეს როგორც სასტიკი, გაეროს კონვეციის მნიშვნელობით, დამოკიდებულია მოპყრობის ხანგრძლივობაზე, მიყენებული დაზიანების ხარისხსა და სულიერ შედეგებზე. ბრალდებას არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რაც

დაადასტურებდა დაზარალებულებისთვის მიყენებული ფიზიკური ზიანის სიმძიმეს, რაც სასამართლოს შესაძლებლობას მისცემდა ემსჯელა ფიზიკური ტკივილის ინტენსივობაზე, ტანჯვის ხარისხსა და სიძლიერეზე, რომლის მიხედვით გააკეთებდა დასკვნას, რომ შეიძლება წამებად დაკვალიფიცირებულიყო. მიზანი იყო ინფორმაციის მიღება და დასჯა, მიზანი წამებად დაკვალიფიცირებისთვის ერთ-ერთი მთავარი გარემოებაა, მაგრამ მხოლოდ ამ ნიშნის არსებობა არ შეიძლება წამებად კვალიფიცირების საფუძველი გახდეს. აუცილებელია უტყუარად დადგინდეს ძალადობის ინტენსივობა და ხანგრძლივობა, ტანჯვის ხარისხი და სიძლიერე. მოცემულ საქმეში ვიზიარებთ სააპელაციო სასამართლოს პოზიციას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ქვემოთ მოყვანილ საქმეებში ბრალდება სსკ-ის 144[1] მუხლიდან 144[3] მუხლზე სწორად გადააკვალიფიცირა:

- დაკავებული ეჭვმიტანილის[110] პოლიციის განყოფილებაში ცემა - სახის არეში რამდენიმე დარტყმა, რის შემდეგაც დაზიანება მიიღო დაკავებულმა ტუჩის არეში. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაკავებული ქალის მიმართ მოპყრობაზე, ასევე, დაკავებული იმყოფებოდა პოლიციის განყოფილებაში და თავის დაღწევის შესაძლებლობა არ ჰქონდა, რაც იწვევდა არასრულფასოვნების განცდას, დამცირებას წარმოადგენს და არაადამიანურ და დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენებას. წამებისგან განსხვავებით არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა არ მოითხოვს განზრახვას გამოწვეულ ტანჯვასთან მიმართებით და ასევე საქმეში არ დადასტურდა მიზანი;
- ციხის თანამშრომლების ქმედება, რომლებიც პატიმრებს აიძულებდნენ დერეფანში შარვლის გახდას, დაჩოქილ სიარულს, რა დროსაც ცემდნენ და აყენებდნენ სიტყვიერი შეურაცხყოფას. სასამართლომ მიუთითა განსხვავებაზე წამებასა და აკრძალული მოპყრობის სხვა ფორმებს შორის, რაც მოიცავს ხარისხისა და ინტენსივობის კრიტერიუმებს; ასევე, ფიზიკური ტკივილის ან სულიერი ტანჯვის სისასტიკის განსაზღვრულ დონეს. წამების შემთხვევაში დონე ძალიან მაღალია, ტკივილი და ტანჯვა გამოიწვევა სპეციალური მეთოდებით ან განსაკუთრებული გარემოებებით. არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დროს ტკივილის ინტენსივობა ან სულიერი ტანჯვა მნიშვნელოვანია, მაგრამ ნაკლებად სერიოზულია წამებასთან შედარებით, ასევე, მნიშვნელოვანია მიზნობრივი ელემენტი. პატიმრისადმი მოპყრობამ განაპირობა მისი დამცირება, დაკნინება, შეურაცხყოფა, რითიც აღმოჩნდა არაადამიანური და პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში, განიცადა მორალური ტანჯვა. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავის დაღწევის შესაძლებლობა არ ჰქონდა და არასრულფასოვნების შეგრძნება გამოიწვია. ეს ქმედება არ ხასიათდება წამების სტიგმით და ინტენსივობას, ხარისხს, ხანგრძლივობას არ გამოუწვევია

[110] 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) ითვალისწინებდა ეჭვმიტანილის ცნებას.

ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება. სსკ-ის 125-ე მუხლი, ასევე, 126-ე მუხლი ცემა ან სხვაგვარი ძალადობას არ გააჩნია მიზანი და არ გულისხმობს პირის დამცირებას ან იძულებას, ასევე, არაადამიანური ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რითაც მას ძლიერ ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს. ღირსება და პატივი განსაზღვრავს ადამიანის ქმედებებსაც, ხოლო ამ დამოკიდებულების საპირისპირო ქმედების ჩადენის იძულება იწვევს უარყოფით გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე;

- ბრალდების მხარის მიერ წამებად შეფასებული ქმედება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად დააკვალიფიცირა (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონო მოპოვების, შენახვის და გავრცელებასთან ერთობლიობაში) შემთხვევა, სადაც დამნაშავე მსხვერპლს აბრალებდა კომპანიის თანხის მითვისებას, კონკურენტებთან თანამშრომლობას, ინფორმაციის გადაცემას, კომპანიის გაკოტრების მცდელობას და მისგან აღიარებას ითხოვდა, ერეოდა მის ცხოვრებაში, ამოწმებდა მობილურ ტელეფონს, უთვალთვალებდა, დაემუქრა, რომ მასთან ურთიერთობის გაგრძელებაზე უარის შემთხვევაში ოჯახს გაუგზავნიდა მსხვერპლის ვიდეოს, რის გამო დაზარალებული იძულებული გახდა მასთან გაეგრძელებინა ურთიერთობა. ასევე, მსხვერპლს ემუქრებოდა ინტიმური ხასიათის ვიდეოს გავრცელებით, რაც მას ძლიერ ფსიქიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებდა. მსჯავრდებულმა დაზარალებულის ამსახველი ვიდეო გაუგზავნა მის ნათესავებს და ოჯახის წევრებს, სამსახურში თათბირზე თანამშრომლებთან გაავრცელა დაზარალებულის შიშველი ფოტოები. სქესობრივი კავშირის, ინფორმაციის და აღიარების მიღების იძულებით, ფოტო-ვიდეო მასალის გადაღებით და გავრცელებით დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფსიქიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ წამების და არაადამიანური მოპყრობის განსხვავებისას ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს იმ ნიშნების არსებობა, რაც წამებისთვის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის არის დამახასიათებელი. ყურადღება უნდა გამახვილდეს გარემოებაზე, რომელშიც დაზარალებული იმყოფება მის მიმართ ქმედების განხორციელების დროს. წამება მოიცავს ძლიერ ტკივილსა და ტანჯვას. ტანჯვა შეიძლება იყოს ფიზიკური და სულიერი. წამების დასადგენად სისასტიკის ზღვარი არის ძალიან მაღალი. წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის სხვაობა გამომდინარეობს ტანჯვის სიძლიერისა და ინტენსივობის სხვადასხვაობის საფუძველზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრალდებულის ქმედება შეიძლება მოიცავს წამებისთვის დამახასიათებელ მიზნებს: მიზანმიმართულობა, დაშინება, დასჯა, აღიარების მოპოვება, თუმცა ქმედებას არ მიუღწევია სისასტიკის უმაღლესი ზღვრისთვის. დაზარალებულმა ამ ქმედებებით განიცადა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტკივილი და მორალური ტანჯვა, თუმცა სისასტიკით განსხვავდება იმ ქმედებებისგან, რომელთა საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა წამება. საყურადღებოა გარემო, სადაც დაზარალებული ქმედებების დროს იმყოფებოდა. ევროპული სასამართლოს მიერ წამებად შეფასდა

პატიმრობაში ჩაკეტილ გარემოში წინააღმდეგობის გაწევის და თავდაცვის შეზღუდულობა პროპორციულად ზრდის არასათანადო მოპყრობის სისასტიკის ზღვარს. დაზარალებულს არ ჰქონია შეზღუდული მოქმედების არეალი ემოქმედა სიტუაციიდან გამომდინარე. ხანგრძლივი დროის, ასევე მიზნის არსებობის მიუხედავად ქმედებები სასამართლომ შეაფასა არაადამიანურად;

- სააპელაციო სასამართლომ ასევე, პირველის ინსტანციის მიერ წამებად დაკვალიფიცირებული ქმედება შეაფასა არაადამიანურ მოპყრობად და განმარტა, რომ ვერ გაიზიარებს ბრალად შერაცხულ იმ გარემოებას, რომ ბრალდებულთა მიერ დაზარალებულზე განხორციელებული ძალადობა „ლეპტოპის" ქურდობას უკავშირდებოდა, რა დროსაც მსჯავრდებულთა მიზანი იყო მოცემული ქმედებისთვის დაზარალებულისგან აღიარების მიღება, აგრეთვე დაშინება ან დასჯა (ხაზი გასმულია თავად დაზარალებულის ჩვენებაზე, რომელიც აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულებმა თავადაც იცოდნენ, რომ მას ქურდობა არ ჩაუდენია და მოტივი იყო, მისთვის არ გადაეხადა ერთ-ერთ მათგანს ნამუშევარი თანხა). სასამართლო ხაზს უსვამს 1984 წლის კონვენციის და ევროპული სასამართლოს მიერ „წამების" განმარტებას და აღნიშნავს, რომ ქმედების წამებად მიჩნევისათვის აუცილებელია მიზანი იყოს ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება, იძულება ან დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ ქმედება უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 144[3]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტზე.

მოცემული საქმეებისგან განსხვავებით, კატეგორიულად ვერ გავიზიარებთ სააპელაციო სასამართლოს კვალიფიკაციის შეცვლის მოტივაციას სხვა საქმეში, სადაც მეუღლისა და მეზობლის მიმართ ეჭვიანობის ნიადაგზე ხანგრძლივი დროის მანძილზე ცემა ხელებით, ფეხებით, ხელკეტით, სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებების მიყენება, ორივეს მიმართ მარცხენა ყურის მოჭრა, რის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვალა, ხოლო მეუღლემ მიიღო მრავლობითი დაზიანებები, პირს ბრალი წარდგენილი ჰქონდა 11-144[1] მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით (წამება 2 პირის მიმართ) და 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და მე-8 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება განსაკუთრებული სისასტიკით, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების პოზიცია და განმარტა, რომ დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ ბრალდებულის განზრახვა მოიცავდა იმის შეგნებას, რომ ამ დანაშაულის მიზანს წარმოადგენდა პირთა წამება, მათთვის სხეულის დაზიანების მიყენება, მათდამი ისეთი მოპყრობა, რომელმაც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით გამოიწვია ძლიერი ფიზიკური ტკივილი და რომლის მიზანიც იყო ამ პირთა დასჯა მათ მიერ ჩადენილი ქმედებისათვის და სწორედ აღნიშნული მოცემულობაა საკმარისი ამ დანაშაულის - წამების და სიცოცხლისათვის სახიფათო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად დაკვალიფიცირების საფუძველი. მითითებულ საქმეში საპირისპირო მსჯელობა განავითარა სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7

ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-8 ნაწილით, ხოლო (წამება) გადააკვალიფიცირა სსკ-ის 11[1]-120-ე მუხლზე და განმარტა, რომ გარდაცვლილი მსხვერპლისთვის მიყენებულ დაზიანებებს სრულად მოიცავდა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ხოლო გადარჩენილი მსხვერპლის მიმართ კვალიფიკაცია დამდგარი შედეგის მიხედვით უნდ მომხდარიყო. სასამართლოს მსჯელობით, მრავლობითი დაზიანების მიყენების შემთხვევაში ქმედების დამატებით წამებად დაკვალიფიცირებას არასრულფასოვან შედეგამდე მივყავართ, რადგან ამ მოცემულობით, თითოეული ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, წამებად დაკვალიფიცირების ავტომატური წინაპირობა იქნებოდა, რაც პალატის მოსაზრებით არ არის სწორი. სასამართლოს შეფასებით, ქმედების წამებად დაკვალიფიცირებისთვის აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის განზრახვა აწამოს ადამიანი. უმეტესწილად ადამიანს ამოძრავებს სპეციალური მიზანიც, რომელიც შეიძლება იყოს დასჯის, სამაგიეროს მიზღვის მიზანიც, თუმცა არ შეიძლება თითოეული ქმედება დამატებით წამებითაც დაკვალიფიცირდეს. მიუხედავად სასამართლოს პოზიციისა, მიგვაჩნია, რომ მოცემულ საქმეში იკვეთებოდა წამების ელემენტები: მეუღლის მიმართ ეჭვიანობის ნიადაგზე მისი და მეზობლის დასჯის მიზანი, ქმედება აღწევდა სისასტიკის ზღვარს: მოპყრობის ხასიათით და ინტენსივობით (ფიზიკური ძალადობა ნივთების და საგნების გამოყენებით იმდენად მძიმე დაზიანებებით, რომ ერთი მსხვერპლი გარდაიცვალა), ხანგრძლივობით (ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცემა ხელებით და საგნებით). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს პოზიცია ერთმნიშვნელოვნად არასწორია, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებებით სახეზე იყო წამება, რამაც ერთი მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. მიგვაჩნია, რომ წამების აკრძალვის აბსოლუტური უფლების თვალსაზრისით სასამართლოს ამგვარი განმარტება საფრთხის შემცველია და შესაძლოა, დამნაშავეთა სასჯელისგან გათავისუფლების ან შემსუბუქების საფუძვლად იქნეს გამოყენებული.

### ზოგადი და სპეციალური მუხლების ერთობლიობა

დაფიქსირდა ერთი და იგივე ქმედებისთვის ბრალის წარდგენა ზოგადი და სპეციალური მუხლების ერთობლიობით:

- შსს-ს თანამშრომლებს, რომლებმაც პირადი მოტივით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს მოქალაქეებს და სასაფლაოს ტერიტორიაზე არაადამიანურად და დამამცირებლად მოექცნენ, ბრალი წარედგინათ 143, 144[3] და 333-ე მუხლების ერთობლიობით. სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაში, ხოლო ძალადობით და ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებაში გაამართლა. აღნიშნული პოზიცია კანონშესაბამისია, რადგან არაადამიანური მოპყრობის ერთი ფაქტი არ საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით
- სხვა შემთხვევაშიც, ბრალდებამ სამხედრო პოლიციის თანამშრომლების ქმედება 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის და 144[1] მუხლის ერთობლიობით

დააკვალიფიცირა. მოცემულ საქმეზე სასამართლომ წამებისა და უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებებში გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა მტკიცებულებათა არარსებობის მოტივით და კვალიფიკაციის შესახებ არ უმსჯელია;

- საქმეში ერთი და იგივე ქმედებისთვის პირებს ბრალი წარდგენილი ჰქონდათ სსკ-ის 144[1] (სპეციალური) და 333-ე (ზოგადი) მუხლებით. სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში 144[1] მუხლი მოიცავდა 333-ს და არ საჭიროებდა ცალკე განხილვას;
- ბრალის წარდგენა მოხდა სსკ-ის 144[3] და 333-ე მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების ერთობლიობით, თუმცა სასამართლომ სწორად მოუხსნა როგორც ზედმეტად წარდგენილი. სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდების დადგენილებაში მითითებული 2 ქმედება სსკ-ის 333-ე მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები და 144[3] მუხლის მე-2 ნაწილი შინაარსით, დროით, ვითარებით, ადგილით და ქრონოლოგიით წარმოადგენს 1 ქმედებას და ერთი ქმედების რამდენიმე მუხლით დაკვალიფიცირება სამართლებრივად არასწორია. მოცემულ შემთხვევაში არსებითია, რომ ქმედება სპეციალური ნორმით დაკვალიფიცირდეს, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულებრივი ქმედების შინაარსს მოიცავს მე-2 ნორმის შემადგენლობაც, კერძოდ, სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ", „დ", „ე", „ზ" ქვეპუნქტები თავისი შინაარსით მოიცავს 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებასაც.

სასამართლოების ხსენებული განმარტებები შეესაბამება სისხლის სამართალში დამკვიდრებულ პრინციპს, რომლის თანახმად, თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და კვალიფიკაცია სპეციალური ნორმით უნდა მოხდეს.[111] არასათანადო მოპყრობის მოხელის მიერ განხორციელებისას სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლებით კვალიფიკაცია საკმარისია და საჭირო არ არის დამატებით ძალადობით ან ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტების ან ბოროტად გამოყენების მუხლით კვალიფიკაცია.

აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესის საწინააღმდეგოდ და ზემოხსენებული სასამართლო პრაქტიკისგან განსხვავებით, სხვა საქმეში[112], სასამართლომ ძალაში დატოვა ზოგადი და სპეციალური მუხლების ერთობლიობა: პირს განხორციელებული ქმედებისთვის ბრალი წარდგენილი ჰქონდა სსკ-ის 333-ე და 144[3] მუხლებით, ხოლო სასამართლომ 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით დაკვალიფიცირებული ქმედება გადააკვალიფიცირა 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებზე.

---

[111] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 16, ნაწ. 2.

[112] სასაფლაოსთან ახლოს ტყეში, ბრალდებულმა და კუდ-ის 10-ზე მეტმა თანამშრომელმა 1 საათის მანძილზე პირს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, დააჩოქეს, სახეში ურტყეს ფეხი, დაჩოქილ მდგომარეობაში თავზე დააყარეს ლარიანი და ორლარიანი კუპიურები, იმ მიზნით, რომ დაჭირდებოდა ტაქსისთვის. დაემუქრნენ აღნიშნული ფაქტის გახმაურების შემთხვევაში ფიზიკური ანგარიშსწორებით.

სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულმა, როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა, ყველა ქმედება (გადაადგილდებოდნენ სამსახურებრივი ავტომობილებით, ქმედება დაიგეგმა სამსახურებრივი ტელეფონებით, საპატრულო პოლიციისთვის თავის დაღწევა მოხდა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით) განახორციელა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით. საგულისხმოა, რომ სასამართლომ ბრალდებული სახელმწიფო რესურსის, როგორც ფიზიკური, ისე მატერიალურ-ტექნიკური სახით ბოროტად გამოყენების გამო დამნაშავედ ცნო სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის და ამასთან, დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ქმედებები, კანონიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, დანაშაულთა ერთობლიობით: სსკ-ის $144^3$ და 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით დააკვალიფიცირა. მითითებულ საქმეში სსკ-ის $144^3$ მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედება ცალსახად მოიცავდა სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ შემადგენლობას და ერთი და იგივე ქმედებისათვის სპეციალური და ზოგადი ნორმის გამოყენება წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან.

## ხანდაზმულობა, სასჯელის პროპორციულობა და საპროცესო შეთანხმების/შეწყალების/ამნისტიის გამოყენება (საერთაშორისო ვალდებულება)

იმის გათვალისწინებით, რომ წამების აკრძალვის კონტექსტში კონკრეტული სტანდარტები ვრცელდება ე.წ. საშეღავათო მექანიზმებზეც, წინამდებარე თავი დაეთმობა ხანდაზმულობის, სასჯელის პროპორციულობის, საპროცესო შეთანხმების, შეწყალებისა თუ ამნისტიის გამოყენების საკითხებს.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, წამების აკრძალვის აბსოლუტური ხასიათის გათვალისწინებით, ხანდაზმულობის ვადის გავრცელება, ამნისტიის და შეწყალების გამოყენება დაუშვებელია: სასამართლომ დაადგინა, როცა სახელმწიფოს წარმომადგენელს ბრალი წაეყენა დანაშაულებისთვის, რომელიც მოიცავს წამებას და არასათანადო მოპყრობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართალწარმოება და სასჯელის შეფარდება არ იყოს დროში შეზღუდული და დაუშვებელი იყოს ამნისტიის გავრცელება ან შეწყალება.[113] ეროვნულმა სახელმწიფო

[113] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2004 წლის 04 ნოემბრის გადაწყვეტილება „Abdülsamet Yaman v. Turkey" (განაცხადი N32446/96) §55, 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Okkalı v. Turkey" (განაცხადი N52067/99) § 76, 2007 წლის 05 ივნისის გადაწყვეტილება „ Yeşil and Sevim v. Turkey" (განაცხადი N3434738/04) §38; 2014 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება „Mocanu and Others v. Romania" [GC], განაცხადი N10865/09, 45886/07, 32431/08) §326. ეს პრინციპი ასევე გავრცელდა კერძო პირების მიერ ჩადენილ ქმედებებზე, როცა ფუნდამენტური უფლების სერიოზულ დარღვევას აქვს ადგილი (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2018 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება „Pulfer v. Albania" (განაცხადი N31959/13) §83; 2022 წლის "M.S. v. Italy" §144)

ორგანოებმა არ უნდა შექმნან შთაბეჭდილება, რომ სურთ ამგვარი მოპყრობის დაუსჯელად დატოვების დაშვება[114]. ამნისტია ზოგადად შეუსაბამობაშია სახელმწიფოს ვალდებულებასთან, გამოიძიოს წამება. დამნაშავეთა მიმართ სახელმწიფო ბრალდების წარმოების ვალდებულება არ უნდა შესუსტდეს სამართალდამრღვევების დაუსჯელობით ამნისტიის კანონის გზით, რაც მიიჩნევა საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ.[115]

ამნისტიის გავრცელება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლის საფუძველზე სასამართლოს ვალდებულებათა საწინააღმდეგო იქნება, ვინაიდან საფრთხეს შეუქმნის ამგვარი ქმედებების გამოძიებას და აუცილებლად გამოიწვევს პასუხისმგებელ პირთა დაუსჯელობას. ამგვარი შედეგი მოცემული მუხლებით გარანტირებული დაცვის მიზანს საფრთხეს შეუქმნის და ილუზორულს გახდის გარანტიებს ადამიანის სიცოცხლის უფლებასთან და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უფლებასთან მიმართებით.[116]

ევროპული სასამართლო „ფაქტობრივ დაუსჯელობად" აფასებს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლით დაცული უფლებების დარღვევის ტოლფას დანაშაულში მსჯავრდებული პირის ამნისტიის აქტით გათავისუფლებას. პრეცედენტულ საქმეში სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელზე არასათანადოდ გავრცელდა ამნისტია ქმედებებისთვის, რომლებიც უტოლდებოდა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე დაცული ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას.[117] დიდმა პალატამ დაადინა, რომ თუნდაც მისაღები ყოფილიყო ამნისტიის შესაძლებლობა გარკვეულ გარემოებებში, როგორიცაა შერიგების პროცესი და/ან დაზარალებულისათვის კომპენსაციის ფორმა, მოცემულ საქმეზე განმცხადებელზე გავრცელებული ამნისტია მაინც მიუღებელი იქნებოდა, რადგანაც არაფერი მიუთითებდა ამგვარი გარემოებების არსებობაზე.[118]

არასათანადო მოპყრობის სწორ კვალიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროპორციული სასჯელის დაკისრების თვალსაზრისითაც: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით აღნიშნა, რომ შეფარდებული სასჯელების ზომის საკითხი არსებით კავშირშია შიდა სასამართლოების მხრიდან ჩადენილი დანაშაულების კვალიფიკაციის საკითხთან. ჩვეულებრივ, მის ფუნქციებში არ შედის შემოწმება თუ რამდენად სწორად იქნა გამოყენებული სისხლის სამართლის კანონის დებულებები სასჯელის განსაზღვრისას ან განსჯა თუ რა ხარისხის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ პირებს, თუმცა სასამართლოს

---

[114] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება „Egmez v. Cyprus" (განაცხადი N30873/96) §71 , 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება „Turan Cakir v. Belgium" (განაცხადი N44256/06) § 69.

[115] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება „Ould Dah v. France" (განაცხადი N13113/03).

[116] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება „Margus v. Croatia" (განაცხადი N4455/10) §127,138-140.

[117] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, „Marguš v. Croatia" განაცხადი N4455/10, § 127.

[118] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, „Marguš v. Croatia" განაცხადი N4455/10, § 139.

არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა არ მოამზადეს საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი, ხოლო სასამართლოებმა არ შეიწუხეს თავი და არ იმსჯელეს თავიანთ გადაწყვეტილებებში თუ რა ხასიათის იყო დამნაშავეთა მიერ ჩადენილი ქმედებები[119].

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასჯელთან მიმართებით ამნისტიის გამოყენების საკითხზე მსჯელობს ჩადენილი ქმედების კონვენციის მე-3 მუხლთან შესაბამისობის თაობაზე[120] და არა ეროვნულ დონეზე კვალიფიკაციის მიხედვით.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ხაზს უსვამს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაბრკოლებები, როგორიცაა ამნისტია, შეწყალება, ხანდაზმულობის ვადა ან დევნის დაწყებაზე უარის თაობაზე პროკურატურის დისკრეცია, დაუშვებელია საერთაშორისო სამართალში.[121] მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება პრინციპში არ არის აკრძალული, პროკურატურის მხრიდან ნებისმიერი დისკრეციის გამოყენება ამ კუთხით უნდა ექვემდებარებოდეს შემოწმებას და კონსულტაციებს მსხვერპლებთან და მათ ოჯახებთან. მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო შეთანხმება არ გამოიყენონ ბრალდებულებმა, რომლებიც ატარებენ ან იზიარებენ პასუხისმგებლობას წამებაზე, რათა ჩვენება მისცენ სხვა თანაბრალდებულების წინააღმდეგ, რომ  თავი დააღწიონ სერიოზულ სასჯელს.[122]

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ამნისტიის/შეწყალების გამოყენება და საპროცესო შეთანხმება (ქართული კანონმდებლობა)

აღსანიშნავია, რომ  არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა სპეციალურ მუხლებზე (სსკ-ის 144[1], 144[2] და 144[3] მუხლები) სისხლის სამართლის კოდექსის[123] თანახმად, არ გამოიყენება ხანდაზმულობის ვადები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისათვის, რაც ცალსახად ადასტურებს წამების და არაადამიანური მოპყრობის ქმედებების გამოძიების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

საქართველოს კანონმდებლობით, წამების, წამების მუქარის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულთა საქმეებზე (განსხვავებით სამოხელეო

---

[119] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება „Enukidze and Girgvliani v. Georgia" (განაცხადი N25091/07) §270.

[120] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება „Margus v. Croatia" (განაცხადი N4455/10) §124.

[121] <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement> ბოლოს ნანახია: 19.09.2022 წელს. პარ. 53.

[122] იქვე, პარ. 54.

[123] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 5[1].

დანაშაულისგან) არ გამოიყენება განრიდება[124]; ასევე, დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ[125] საპროცესო შეთანხმების დადებისას. ამასთან, დაშვებულია[126] იმავე მუხლებით ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება სასჯელის შემცირებით ან პირობითი სასჯელის დაკისრებით.

საქართველოს კანონმდებლობით არ იზღუდება სამოხელეო დანაშაულის ფაქტებზე ბრალდებულების მიმართ განრიდების გამოყენება, ასევე, ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებით სასჯელისგან სრულად გათავისუფლება.

სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში[127] ყურადღება გამახვილდა პროკურატურის მიერ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებით და სასამართლოს მიერ მისი დამტკიცებით წამებაში დამნაშავე პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრობლემაზე.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად განსხვავდება სასჯელის ზომაც: ძალადობით ან/და ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ან ბოროტად გამოყენებისთვის სანქცია უფრო მსუბუქია (თავისუფლების აღკვეთა 5-8 წლამდე ვადით), ვიდრე მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ჩადენილი წამების (თავისუფლების აღკვეთა 9-15 წლამდე) და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის[128] (თავისუფლების აღკვეთა 5-10 წლამდე).

არასათანადო მოპყრობისთვის ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიმართ ამნისტიის გამოყენების საკითხზე კანონი პირდაპირ აკრძალვას არ აწესებს,[129] არამედ საქართველოს პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას ამნისტიის კანონის მიღების გზით. აუცილებელია საკანონმდებლო პროცესში სახელმწიფოს ვალდებულების გათვალისწინება, რომ ადგილი არ ჰქონდეს ადამიანის აბსოლუტური უფლების დარღვევის ფაქტებზე ოფიციალური შეწყნარების პოლიტიკას.

---

[124] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 168[1] , ნაწ. 2.

[125] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 218, ნაწ. 8; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 73[1] .

[126] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-218 მუხლები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 55 და 63.

[127] იხ. <https://drive.google.com/file/d/19AjSGIOHEQkzJ0HV-rxQ56sXgFx0E6d7/view> გვ.175-178.

[128] საგულისხმოა, რომ 144[3] მუხლის მე-2 ნაწილი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ) 2016 წლის 01 დეკემბრის ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით, სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთა 4-6 წლამდე ვადით.

[129] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 77.

რაც შეეხება შეწყალებას, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით დადგენილი წესით[130] ახორციელებს. მართალია, შეწყალების გამოყენებისას მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას[131] მსჯავრდებულის მიერ არასათანადო მოპყრობის ჩადენის ფაქტი და მისი ჩადენა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ, თუმცა საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია იმავე წესით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.[132]

ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს იმ წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული ძალადობა, რომელთა მოვალეობაშიც შედის მოქალაქეთა დაცვა, განსაკუთრებით დამთრგუნველად მოქმედებს მსხვერპლზე და უჩენს მას დაუცველობის განცდას. შესაბამისად, აუცილებელია გამოძიების საწყის ეტაპზევე სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაცია, რათა მსხვერპლი დარწმუნდეს გამოძიების ქმედითობაში, ხოლო სავარაუდო დანაშაულს მიეცეს ადეკვატური შეფასება.

### სასჯელის პროპორციულობა, საპროცესო შეთანხმების/შეწყალების გამოყენება (პრაქტიკის ანალიზი)

შესწავლილ განაჩენებში სასჯელის გამოყენების დასაბუთება ან მსჯელობა კონკრეტულ დეტალებზე იშვიათად გვხვდება. სასამართლოები ძირითადად კანონით განსაზღვრულ საფუძვლებს შაბლონურად მიუთითებენ და თითოეულ მათგანს კონკრეტულ მსჯავრდებულთან მიმართებით არ განიხილავენ. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა სასჯელის განსაზღვრის ინდივიდუალურ გარემოებებზე. მაგალითად: თანაამსრულებლებიდან უფრო მაღალი სასჯელი განუსაზღვრა მსჯავრდებულებს, რომელთა ქმედებამ უშუალოდ გამოიწვია წარუშლელი დაზიანება, ასევე, უფრო მაღალი სასჯელი განესაზღვრა მსჯავრდებულს მისი ქმედებით დაზარალებულთა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით. ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ ჯარიმა მოუხსნა ეკონომიკური და ფინანსური გარემოების გათვალისწინებით. სხვა შემთხვევებში სასამართლომ მიუთითა სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობის მომეტებულ პასუხისმგებლობაზე მსჯავრდებულთა უფლებების დაცვისთვის და მათ მიერ დახურულ დაწესებულებაში დანაშაულის ჩადენის შესახებ, საიდანაც მსხვერპლებს თავის დაღწევის საშუალება არ ჰქონდათ; მსჯავრდებულის ოჯახურ მდგომარეობაზე (მცირეწლოვანი შვილების ყოლა).

### საპროცესო შეთანხმება

შესწავლილი განაჩენებიდან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ბრალდების 8 სისხლის სამართლის საქმეზე 23 ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან (19

---

[130] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 78, პუნქ. 1.

[131] „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის N556 ბრძანებულება, ქვეპ. „ბ", „დ".

[132] „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის N556 ბრძანებულება, მუხ. 5, პუნქ. 2.

საჯარო მოხელე, 4 კერძო პირი) გაფორმებული საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა. თითქმის ყველა საპროცესო შეთანხმება დაიდო ბრალზე და სასჯელზე. ერთ პირთან მთავარი პროკურორის მიერ გაფორმდა განსაკუთრებული თანამშრომლობის შეთანხმება, რის შედეგად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების (სსკ-ის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილი) 4 ეპიზოდის, და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის (სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილი) 3 ეპიზოდის ჩადენისთვის მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებას და სამართლიანად გახდა უფლებადამცველი ორგანიზაციების და სახალხო დამცველის[133] კრიტიკის საგანი.

საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის მიმართ ერთგვარ შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მათთან დადებული საპროცესო შეთანხმების პირობებით სასჯელი მნიშვნელოვნად მსუბუქია კერძო პირებთან გაფორმებული შეთანხმებით განსაზღვრული სასჯელისგან. არასათანადო მოპყრობისთვის მსჯავრდებულ 4 კერძო პირს საპროცესო შეთანხმების შედეგად განესაზღვრა:

- ჯგუფურად ჩადენილი წამებისთვის 2 პირს თავისუფლების აღკვეთის სახით რეალური და მაღალი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით;
- ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი წამებისა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 6 თვის ვადით (რეალური) და 5 წელი პირობითად ჩაეთვალა;
- არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 6 თვის ვადით (რეალური) და 2 წელი პირობითად ჩაეთვალა.

საპროცესო შეთანხმებით წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდისთვის მსჯავრდებული საჯარო მოხელეებისთვის თავისუფლების აღკვეთის[134] სახით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით) 6 თვიდან - 5 წლამდე ვადით მერყეობს:

- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების (სსკ-ის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილი) 4 ეპიზოდის, და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის (სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილი) 3 ეპიზოდის ჩადენისთვის მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების (სს-ის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილი) 4 ეპიზოდის და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და

---

[133] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 175-178 <https://drive.google.com/file/d/19AjSGIOHEQkzJ0HV-rxQ56sXgFx0E6d7/view>

[134] დამატებითი სასჯელის სახით რამდენიმე მსჯავრდებულს განესაზღვრა თანამდებობის დაკავების უფლება და ჯარიმაც.

დამამცირებელი მოპყრობის (144[3] მუხლის მე-2 ნაწილი) 3 ეპიზოდის ჩადენისთვის მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით;

- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების (სსკ-ის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილი) 2 ეპიზოდის და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის (სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილი) მსჯავრდებულ ერთ პირს და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების (სსკ-ის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილი) 3 ეპიზოდისთვის მსჯავრდებულ 1 პირს განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მომზადებისთვის (სსკ-ის 25-144[3] მუხლის მე-2 ნაწილი) მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 თვით და 11 დღით (4 წელი, 1 თვე და 19 დღე პირობით გამოსაცდელი ვადა);
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის (სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილი) მსჯავრდებულებს განესაზღვრათ:

    - ✓ 2 პირს - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით;
    - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით;
    - ✓ 5 პირს - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 6 თვის ვადით (აქედან 4 პირს დამატებით თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვის ვადით პირობითი);
    - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით;
    - ✓ 2 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით;
    - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 6 თვის ვადით;
    - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;
    - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და 6 თვის ვადით.

რაც შეეხება სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლებით - სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით (ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება) ბრალდებულებთან დადებული საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრულ სასჯელს, მნიშვნელოვნად ლმობიერი დამოკიდებულება დაფიქსირდა სახელმწიფოს მხრიდან: სხვადასხვა საქმეში 12 პირის მიმართ:

- 3 პირს განესაზღვრა რეალური სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით - 2 წლის (დამატებით 1 წელი და 9 თვე პირობითი), 1 წლის და 6 თვის, 1 წლის და 4 თვის ვადით;
- 8 პირს[135] თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი (2 წლისა და 3 თვიდან - 5 წლამდე ვადით) ჩაეთვალა პირობითად;

[135] დამატებითი სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა და ჯარიმა.

- 1 პირს - ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმა, დამატებითი სასჯელის სახით - თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა და ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევა.

### ამნისტიის გამოყენება

შესწავლილი განაჩენებიდან 2012 წლის 01 ოქტომბრამდე ჩადენილ დანაშაულებზე 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის გავრცელების შედეგად მსჯავრდებულებს ¼ შეუმცირდათ სასჯელი. საგულისხმოა, რომ სასამართლოებისთვის ცნობილი იყო მათ მიერ დანიშნული სასჯელი ამნისტიის კანონის შესაბამისად, ¼ -ით უნდა შემცირებულიყო და ასე დაინიშნებოდა საბოლოო სასჯელი. მიუხედავად ამისა, ერთი მხრივ, არ განსაზღვრავდნენ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამებისთვის დადგენილი სასჯელის მაქსიმალურ ვადას (იმის გათვალისწინებით, რომ ამნისტიის კანონით მაინც მოხდებოდა სასჯელის შემცირება); მეორე მხრივ, სახეზე იყო არასათანადო მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდი ან არასათანადო მოპყრობისა და სხვა დანაშაულის ერთობლიობა და დანაშაულის რეციდივის არარსებობის გამო (მსჯავრდებულები მანამდე ნასამართლობის არმქონე საჯარო მოხელეები იყვნენ) სასჯელთა შთანთქმის[136] პრინციპი გამოიყენებოდა. სასამართლოების მიერ არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით მსჯავრდების შემთხვევაში ამნისტიის გამოყენებით განსაზღვრული იყო შემდეგი სასჯელები:

- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამებისთვის (სსკ-ის 144[1] მე-2 ნაწილი) მსჯავრდებულ:
  - ✓ 2 პირს - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 9 თვის ვადით;
  - ✓ 2 პირს - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის და 6 თვის ვადით;
  - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 8 წლის და 3 თვის ვადით;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების (144[1] მუხლის მე-2 ნაწილი) და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის 3 ეპიზოდისთვის მსჯავრდებულ ერთ პირს - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 9 თვის ვადით;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების, ასევე, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის:
  - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის და 6 თვის ვადით;
  - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 9 თვის ვადით,
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების (144[1] მუხლის მე-2 ნაწილი) და სხვა დანაშაულთა ერთობლიობის (სსკ-ის 143-ე ან/და 138-ე მუხლები) მსჯავრდებულ 4 პირს - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და ძალადობით და ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის 1 პირს -

[136] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 59.

თავისუფლების აღკვეთა 7 წლის და 6 თვის ვადით (თავისუფლების აღკვეთისთვის უფრო მაღალმა სასჯელმა შთანთქა არაადამიანური მოპყრობისთვის განსაზღვრული სასჯელი (4 წელი და 6 თვე);

- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის მსჯავრდებულებს განესაზღვრათ:
  - ✓ 5 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 9 თვის ვადით;
  - ✓ 2 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით;
  - ✓ 6 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 3 თვის ვადით;
  - ✓ 4 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 4 თვის და 15 დღის ვადით;
  - ✓ 3 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 6 თვის ვადით;
  - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის
  - ✓ 2 ეპიზოდისთვის მსჯავრდებულ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 9 თვის ვადით, 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 3 თვის ვადით;
  - ✓ 4 ეპიზოდისთვის მსჯავრდებულ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;
  - ✓ 6 ეპიზოდისთვის მსჯავრდებულ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;

- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის 3 ეპიზოდისთვის მსჯავრდებულ პირს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის და 4 თვის ვადით;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის მსჯავრდებულ 2 პირს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და 6 თვის ვადით განესაზღვრა.

სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლებით - სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით მსჯავრდებული 15 პირისთვის განსაზღვრული ვადა შეადგენს თავისუფლების აღკვეთას 3 წლის და 9 თვიდან - 5 წლის და 3 თვემდე ვადას. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სსკ-ის 25,117-ე მუხლის მე-5 ნაწილთან ერთობლიობით) მსჯავრდებულ ერთ პირს - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

### ამნისტიის გამოყენების გარეშე

კვლევის ფარგლებში ცალკე განვიხილავთ სასჯელის პროპორციულობის საკითხს ისეთ შემთხვევებში, როცა მსჯავრდებულებთან საპროცესო შეთანხმება არ დადებულა და არც ამნისტიის კანონის გამოყენების საფუძველი არსებობდა ქმედების ჩადენის დროის გამო - 2012 წლის 01 ოქტომბრის შემდეგ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ამნისტიის კანონის მოქმედება არ ვრცელდება. ქვევით მოცემული შემთხვევები ჩადენილია კერძო პირების მიერ, მხოლოდ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით მსჯავრდების ერთ საქმეში ამსრულებელი საჯარო მოხელეა (პოლიციელი).

- ჯგუფურად ჩადენილი წამებისთვის 5 პირს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით;
- ჯგუფურად ჩადენილი წამების და სხვა დანაშაულების (სსკ-ის 117-ე და 143-ე მუხლები) ერთობლიობისთვის 4 მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით;
- ჯგუფურად ჩადენილი წამების და სხვა დანაშაულის 117-ე მუხლის ერთობლიობისთვის 2 მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, 2 პირს – 10 წლის ვადით;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების და 143-ე მუხლის ერთობლიობისთვის მსჯავრდებულ 4 პირს - თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, 4 პირს - 12 წლის ვადით;
- არასრულწლოვანის, ასევე, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ ინდივიდუალურად ჩადენილი წამებისა და 143-ე მუხლის ერთობლიობისთვის 1 პირს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, მე-2 მსჯავრდებულს - 10 წლის ვადით.
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამების და 143-ე მუხლის ერთობლიობისთვის მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის და 6 თვის ვადით;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისათვის:
    - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით;
    - ✓ 3 პირს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და 6 თვის ვადით;
    - ✓ არასრულწლოვან მსჯავრდებულს - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 3 თვის ვადით;
- არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის:
    - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით;
    - ✓ 1 პირს - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის და 6 თვის ვადით.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და პირადი ცხოვრების ამსახველი მონაცემის უკანონოდ მოპოვების, შენახვის და გავრცელებისთვის მსჯავრდებულ პირს სასჯელის სახით 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების ერთობლიობისთვის მსჯავრდებულს 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მოსამართლემ შემამსუბუქებელ გარემოებად მიუთითა ადრე ნასამართლობის არქონა, დანაშაულის ნაწილობრივი აღიარება და დაზარალებულებთან შერიგებულები არიან და პრეტენზია არ გააჩნიათ. დაზარალებულებთან შერიგების ფაქტს არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სასჯელის ზომაზე რაიმე გავლენა არ გააჩნია.[137] ერთ საქმეში სასამართლომ არაადამიანური და

[137] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავ. 13-14.

დამამცირებელი მოპყრობის და ცემის ერთობლიობისთვის მსჯავრდებულ პირს ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმა განუსაზღვრა (15 000 ლარი) და პატიმრობაში ყოფნის ვადის - 8 თვის და 8 დღის გათვალისწინებით, მთლიანად გათავისუფლა სასჯელის მოხდისგან.

ერთ საქმეში სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირს 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

### შეწყალება

2013 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 06 იანვრის ჩათვლით პერიოდში[138] საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოცემული მუხლებით ჩადენილი დანაშაულებისთვის შეწყალებული 9 მსჯავრდებულიდან[139]:

- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამებისთვის (სსკ-ის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილი) მსჯავრდებულ ერთ პირს მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის (სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილი) მსჯავრდებული 2 პირი გათავისუფლდა ძირითადი და დამატებითი სასჯელის შემდგომი მოხდისგან და მოეხსნა ნასამართლობა;
- სს-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით) გათვალისწინებული დანაშაულისთვის მსჯავრდებული:
  - ✓ 4 პირი გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისგან;
  - ✓ 1 პირი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისგან,
  - ✓ 1 მსჯავრდებულს მოსახდელად დარჩელი საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა.

საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტს მსჯავრდებულთა შეწყალების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ანიჭებს. ამასთან, მნიშვნელოვანია წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის აღსრულება და სახელმწიფო ვალდებულების შესრულება[140], რადგან კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულისათვის

---

[138] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2020 წლის 21 მაისის N2593, 2019 წლის 09 ოქტომბრის N7979 და 2020 წლის 14 იანვრის N208 წერილები.

[139] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2020 წლის 21 მაისის N2593 წერილის თანახმად, 2013 წლის 2 და 25 ოქტომბრის, 13 ნოემბრის განკარგულებებში, რომელთა საფუძველზე მსჯავრდებულ პირებს მოეხსნათ პირობითი სასჯელი და ნასამართლობა, არ არის მითითებული სსკ-ის მუხლები. ამასთან, აღნიშნული განკარგულებები არ შეეხო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით (წამება) გათვალისწინებულ დანაშაულს.

[140] 2004 წლის 04 ნოემბრის გადაწყვეტილება „Abdülsamet Yaman v. Turkey" (განაცხადი N32446/96) §55, 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Okkalı v. Turkey" (განაცხადი N52067/99) § 76, 2007 წლის 05 ივნისის გადაწყვეტილება „ Yeşil and Sevim v. Turkey" (განაცხადი N3434738/04) §38.

მსჯავრდებულის შეწყალება არ ემსახურება ადეკვატური დასჯის მიზანს და არასათანადო მოპყრობის დაუსჯელად დატოვების შთაბეჭდილებას ქმნის.

## დასკვნა

მოცემული სპეციალური ანგარიშის ფარგლებში კვლავ ნათლად გამოიკვეთა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების/მართლმსაჯულების სერიოზული და მნიშვნელოვანი პრობლემა.

უნდა აღნიშნოს, რომ საქმეზე თავდაპირველ კვალიფიკაციას საგამოძიებო ორგანო ახდენს. სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა ქმედების კვალიფიკაცია, მისი შეცვლა და ბრალდებაზე უარის თქმა, ხოლო ქმედების დანაშაულად საბოლოო კვალიფიკაცია სასამართლოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება.

შესწავლილ საქმეებში გამოიკვეთა მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების სამოხელეო დანაშაულის ზოგადო ნორმებით კვალიფიკაციის შემთხვევები. ხსენებულ პრაქტიკას განაპირობებს საკანონმდებლო ხარვეზი, კერძოდ, სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებებს, რაც მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით, ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილ უფლებამოსილების გადამეტებას და ბოროტად გამოყენებას გულისხმობს, მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური - სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლების საკანონმდებლო დეფინიცია. გარდა ამისა, გამოიკვეთა დამატებით სხვა მუხლების პრობლემურობაც - განმარტების, ჩვენების, ან დასკვნის მიცემის იძულება (სსკ-ის 335-ე მუხლი), პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით (სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში საჭიროა არასათანადო მოპყრობის პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა ნათლად, ორაზროვნების გარეშე, ამომწურავად ახდენდეს არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაციას მხოლოდ სპეციალური ნორმებით (სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლები) და პრაქტიკაში გამორიცხავდეს ამ დანაშაულების სხვა მუხლებით კვალიფიკაციის შესაძლებლობას. ამისთვის, საჭიროა კოდექსიდან 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, ასევე, 335-ე მუხლის და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილის ამოღება, ხსენებული ქმედებების დეკრიმინალიზაციის გარეშე.

ამასთან, საგულისხმოა, რომ სსკ-ის 144[3] მუხლით დანაშაულს წარმოადგენს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შესაძლებელია მოპყრობის შეფასება არაადამიანურად ან/და დამამცირებლად (როგორც ცალ-ცალკე, ასევე, ერთობლივად). შესაბამისად, საჭიროა კანონმდებლობაში აღნიშნული გარემოების ასახვა.

სასამართლოები კვალიფიკაციისას ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ მოპყრობის ინტენსივობასა და მიყენებული ტკივილის, ტანჯვის ხარისხზე და წამების მაკვალიფიცირებელი მიზნების არსებობის მიუხედავად ქმედებას არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად აფასებენ, თუ წამებისთვის დამახასიათებელი სისასტიკის ზღვრისთვის მოპყრობას არ მიუღწევია. გამოვლინდა სასამართლოების არაერთგვაროვანი და არასწორი პრაქტიკა არასათანადო მოპყრობის სხვა მსუბუქი მუხლით გადაკვალიფიცირების რამდენიმე შემთხვევაში. გარდა ამისა, რამდენიმე საქმეში პროკურატურამ ზოგადი (333-ე) და სპეციალური (სსკ-ის 144[1]-144[3]) მუხლების ერთობლიობით დააკვალიფიცირა ერთი და იგივე ქმედება, რასაც, როგორც წესი, სასამართლოები როგორც ზედმეტად წარდგენილს ბრალდებულებს უხსნიან, თუმცა ერთეულ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენიც დადგა.

სასამართლოები სასჯელის განსაზღვრისას არ ითვალისწინებენ სასჯელის უფრო მკაცრ ზომას ისეთ შემთხვევებში, როცა არასათანადო მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდი ან/და დამამძიმებელი გარემოებაა, ან/და არასათანადო მოპყრობის და სხვა დანაშაულის ერთობლიობაა და ნასამართლობის არქონის გამო სასჯელთა შთანთქმის პრინციპი უნდა გამოიყენონ.